6992

ნაკადული

სკოლამდელი ყმაწვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1916

ივნისი, № VI.

მოზრდილთათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადულის ხელისმომწერთა საყურადღებოდ

„ნაკადული“-ს რედაქცია სთხოვს წლიურ ხელისმომწერთ, რომელთაც მხოლოდ ნახევარ წლის ფული აქვთ შემოტანილი, დააჩქარონ დანარჩენი ფულის შემოტანა: წინააღმდეგ შემთხვევაში დღევანდელი მძიმე მდგომარეობა აიძულებს რედაქციას ივლისიდან ჟურნალის გზავნა მოუსპოს. ქაღალდი მეტად გაძვირდა და ძნელი საშოვარია. რედაქცია ხელისმომწერთა რაოდენობაზე ზედმეტ ნომრებს ვერ დაბეჭდავს, ამის გამო იმ ხელისმომწერთათვის, რომელნიც ფულის გამოგზავნას დააგვიანებენ, რედაქციას გასაგზავნი ნომრები აღარ ექნება.

ნაკვალევი № 6. 1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



† ალექსანდრე თეოდორეს-ძე ყაფეშაძე
1862—1916

საქართველოს სახელმწიფო
* ბიბლიოთეკა
* ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ალექსანდრე ყიფშიძე,—სურათი 1

II—ალექსანდრე თევდორეს-ძე ყიფშიძე—ფრონელი,—ალ. მირზასაშვილისა 3

III—გაზაფხული,—ლექსი გელასი 7

IV—მოგონებანი. I—ბწყემსობა, II—მამის გაკვეთილი,—(პირველი და მეორე წერილის დასასრული) გაბრიელ გოგუაძისა 8

V—მაისის წვიმა,—ლექსი ი. სიხარულიძისა 24

VI—კახაბერის ნადიმზე,—სიმონ ქვარიანისა 25

VII—ფულის ძალა,—(ზღაპარი ლექსად) ვ. რუხაძისა 36

VIII—უკანასკნელი წამი,—ლექსი დ. ელიოზიშვილისა 41

IX—შურის ძიება,—ფრანგულით მედია დამბაშიძისა 44

X—ჯიხვი და შურთხი,—თავისუფალი სვანისა 54

XI—გასართობი,—შარადები და რებუსის აღსნა 64

ტფილისი, ელექტრონით მოეჭდავი წიგ. გამ. ქ. ამხ—სა, ვანქის დიდი ქ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე თევდორეს-ძე ყიფშიძე—ფროლელი

ულმობელმა სიკვდილმა სრულიად მოულოდნელად გამოასალმა ამ დღეებში ჩუთი სოფელს ძვირფასი ადამიანი, სამაგალითო ქართველი!

სახელმწიფო ბიბლიოთეკა

16 თიბათვეს ტფილისში ალექსანდრე თევდორეს-ძე ყიფშიძე ნაშუადღევის ოთხ საათზე სამსახურიდან ბინისკენ მიდიოდა; მაგრამ შინ შესვლა ვერც კი მოასწრო, უცებ წაიქცა თავის სახლის წინ და სული განუტევა.

ვინ იყო ეს ალექსანდრე ყიფშიძე, დარწმუნებული ვარ, ბევრმა პატარა მკითხველმა უკვე იცის, და თუ ვისმე მისი სახელი ჯერ არ გაუგონია, დადგება დრო, როცა მისი ნაშრომ-ნალვაწის გაცნობის წყალობით გულის ფიცარზე დაიწერს ამ სახელს და ასე ქება-დიდებით ატარებს მთელ თავის სიცოცხლეში.

ალექსანდრე სოფლელი მღვდლის თევდორე ყიფშიძის შვილი იყო და ძმა კარგად ცნობილი ქართველი მოღვაწის გრიგოლისა; დაიბადა გორის მაზრის სოფ. წვერში, 1 იანვარს, 1862 წ. პირველად სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში. აქედან ტფილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა, სადაც მხოლოდ მეოთხე კლასამდე დარჩა. მერე შევიდა გიმნაზიის უფროსს კლასში და 1884 წ., კურსის დამთავრების შემდეგ, ხარკოვის უნივერსიტეტს მიაღწია, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც საისტორიო-საფილოლოგიო ნაწილის სტუდენტად ვხუ-
დავთ. აქ უმაღლესი განათლება დაამთავრა 1888 წ.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მას ჰსურდა გიმნაზიაში მასწავლებლობა, მაგრამ, როგორც ქართველს, მაშინდელმა სწავლა-განათლების მზრუნველმა ადგილი არ მისცა და ამის გამო იძულებული შეიქმნა სამსახური სხვაგან მოეძებნა. პირველად სახაზინო პალატაში შევიდა, აქედან მალე საგუბერნიო საქმეთა სამმართველოს მდივნად გადვიდა, მერე საგლეხო საქმეთა საკრებულოს მდივნად, შემდეგ—ახალციხის (ჯავახეთის) მომრიგებელ-შუამავლად, ახლა—საგუბერნიო მმართველობის მრჩეველ-წევრად და, ბოლოს, 1905 წ., მოძრაობის დროს—ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწედ. მთავრობამ მის მოღვაწეობას ამ უკანასკნელ თანამდებობის დროს რალაც ეჭვის თვალით შეჰხედა და ამის გამო ალექსანდრე 1906 წ. სამსახურიდან დაითხოვეს. ამავე წლის გასულს ტფილისის ქართველ თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში არსდება ესრედ წოდებული მამულ-დედულის საქმის მომწყობი კომისია. ალექსანდრე ჩვენ თავად-აზნაურთა მიერ მიწვეულ იქმნა ამ კომისიის მდივნად. ეს იყო მისი უკანასკნელი სამსახური, სადაც განსვენებულმა შესანიშნავი უნარი, სიმხნევე და საქმის ცოდნა-სიყვარული გამოიჩინა. მაგრამ მან განა მარტო აქ იჩინა თავი?!

არც ერთი ქართული საზოგადო, საქვეყნო საქმე არ იყო, რომ ალექსანდრე ყიფშიძეს მხურვალე მონაწილეობა და ნაყოფიერი შრომა არ მიუძღოდეს. ქართული გაზეთი გინდა, ჟურნალი, ეროვნული დაწესებულებანი, ეკლესია, სოფელი, ქალაქი, გლეხი და თავად-აზნაური—მის მზრუნველობას და ყურადღებას არ გამოეპარებოდა: სწერდა, იკვლევდა ჩვენ წარსულ და თანამედროვე ყოფა-ცხოვრებას, სიტყვითა და კალმით უზიარებდა თანამოძმეთ თავის დაკვირვებას, სადაც და როდესაც საჭირო იყო—არავისთვის არ ჰზოგავდა რჩევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიგებას და მტკიცე დარაჯად ედგა ყოველ ჩვენთვის საკეთილდღეო საქმიანობას და აზრს.

სხვათა შორის დიდ მეცადინეობას და ზრუნვას იჩენდა ალექსანდრე ორ საეროვნო საქმეში: ა) რომ ქართველ თავადაზნაურთა მამულ-დედული ჩვენი დაუდევრობით უცხოელთა ხელში არ გადასულიყო და მით საქართველოს არსებობა განსაცდელში არ ჩავარდნილიყო, და ბ) რომ ქრისტიან ქართველობას საბოლოოდ არ ჩამოჰშორებოდა გამაჰმადიანებული ქართველობა, რომელიც დღეს მოსახლეობს ძველი საქართველოს საუკეთესო კუთხის—მესხეთის ნაწილებში: ახალციხეში, ჯავახეთში, აჭარაში, ქობულეთში, შავშეთში, ერუშეთში, ლივანაში, ჭანეთში ანუ ლაზისტანში, ტაოში, კლარჯეთში და კოლაში.

ეს ორი დიდებული აზრი შეადგენდა მის მუდმივ ოცნებობის საგანს; ყოველ მის ნაბიჯსა და მოქმედებას აშკარად ეტყობა ასეთი მისწრაფება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრეს შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, რომ მის გულის-წადილის და სურვილის განხორციელებას ნიადაგი უმაგრდება, საძირკველი უმზადდება.

წერა ალექსანდრემ სემინარიაშივე ყოფნის დროს დაიწყო, სადაც შეგირდების ჟურნალის უმთავრესი თანამშრომელი იყო.

1884 წ. საყმაწვილო ჟურნალ „ნობათში“ მოათავსა გლეხთა ცხოვრებიდან პატარა მოთხრობა; ამავე ხანებში ჟურნალ „ივერიაში“ იბეჭდებოდა მის მიერ ნათარგმნი მოთხრობები. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1889 წ., ილია ჭავჭავაძის გაზეთის, „ივერიის“, მუდმივი თანამშრომელი გახდა.

დიდ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ჟურ. „კლდის“ გამოცემაში და სულ უკანასკნელ დროს სხვებთან ერთად დააფუძნა და სული ჩაუდგა გაზეთ „საქართველოს“. ჩვენ საბავშო ჟურნალ „ნაკადულსაც“ დიდის თანაგრძნობით ეპყრობოდა და დრო-გამოშვებით ათავსებდა ისტორიულ და

ეთნოგრაფიულ წერილებს. სხვათა შორის 1907—8 წ. მან აქ მოათავსა მრავალი წერილი საერთო სათაურით — „სამშობლო ქვეყანა“.

მის მრავალ ნაწერთა შორის ყურადღებას იქცევს ცალკე წიგნად გამოცემული „მთიულეთი 1804 წელს“; არა ნაკლებ ღირს-შესანიშნავია „კახეთის ამბოხება 1812 წ.“; შემდეგ „მთის არწივი შამილი“, „დიდებული მესხეთი“ და სხ.

სამშაბათ დღეს, 21 თიბათვეს, მადლიერმა ერმა ალექსანდრეს მრავალ გვირგვინებით შემკული კუბო დიდის ამბით მიაბარა შავ მიწას დიდუბის ეკლესიის კარზე ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. დასაფლავების დროს ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა ალექსანდრეს საქებრად და სადიდებლად. ყველა სიტყვის დედა-აზრი ის იყო, რომ განსვენებულის სახელი ამიერიდან ჩაიწერება წარჩინებულ და სამშობლო ქვეყნისთვის თავდადებულ პირთა სიაში და იქმნება დაუვიწყარი.

ასე აფასებს ერი იმ ადამიანს, რომელიც ფიქრობს და ზრუნავს არა მარტო თავის თავზე, არამედ მთელ თავის ნიჭსა და შრომას სწირავს საზოგადო საქმეს და სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობა საკუთარ ბედნიერებად მიაჩნია.

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გაზაფხული

გაზაფხული ფიქრი არის,
ლამაზ ჩიტად მოფრენილი;
ნაკადია—ცელქი სიტყვა,
მაღალ მთებით მოდენილი!..

გაზაფხული სიმღერაა—
თეთრი ხმები ცის და მიწის,
ის ფრთებია მოქარგული
გაბრწყინვებულ დიად სივრცის!..

გაზაფხული, გაზაფხული!..
იცით რაა გაზაფხული?
—სიცოცხლეა მოცეკვავე—
ლხენის დროშად აღმართული!..

გელა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონებანი

(ნაშთად დრამა ხეფეარულისა და მადლიანისა ეუძღვნა ჩემ მშობლებს).

მწყემსობა.

ყოველ დილით, მინდორში გამგზავრებისას, მამა მაბარებდა:

— აბა შენ იცი, კოჩა მამულიე, როგორ ჭკუით იქნები... წყალში არ გაბედო ჩასვლა, წინ დაიხედე—გველმა არ გიკბინოს.. ფრთხილად იყავი—მეველემ ხარები არ წაგართვას.

რაც შეეხება წყალში ჩასვლას და ბანაობას, ამას კიდევაც ვბედავდი და ვერც დავიშლიდი, თუმცა ძლიერ მეშინოდა წყლის კაცის.

— დაგეკიდება ფეხზე და ჩაგითრევსო,—ასე მაშინებდა მამა, და მართლაც ზოგჯერ თითქო მეჩვენებოდა წყლიდან ამოყოფილი გაბურძგნული დიდი თავი.

გველისაც რომ მეშინოდა, ამას რა თქმა უნდა; ფეხშიშველი ვიყავი და მაღალ ბალახში როდი დავდიოდი, სულ დავხტოდი, რომ გველს, თუ ფეხს დავადგამდი, ვერ მოესწრო კბენა; თუ შორიდან დავინახავდი, როცა გველი წავიდოდა, მივიდოდი იმ ალაგას და დიდი ყურადღებით ვათვალიერებდი, ვეძებდი, ალმასი ხომ არ დაუკარგავს მეთქი. ბევრჯერ მქონდა გაგონილი, რომ ზოგ გველს ცოცხალი ალმასი აქვს, რომელიც ოქროს ფულებს სდებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროი ასეთი ალმასი რომ მეპოვა, რამდენ ვაი-ვაგლახი-

დან დავიხსნიდი მამას!

მეხარკე „თაყაია კუდამელა“ ხომ ვერ გააწვალებდა მა-
შინ!

მეველეზე კი არ მქონდა წარმოდგენა,—საშიშარი რამ
ნადირი იყო ის, რომელსაც შეეძლო ხარების წართმევა, თუ
სხვა რამე,—ამის არაფერი ვიცოდი, მაგრამ რაღაც შიში მუ-
დამ მქონდა გულში.

ერთხელ ვთამაშობდი სილაზე; კალიები ხარებად გავაბი
ჯოხის სახნისში, ყანას ვხნავდი და ვყვიროდი:

— ჰო, ჰო, ჰო, ჰო... გასწით, გასწით, ხარებო!

თანაც ვმღეროდი:

გადვიხედე ლაგინეთს,
ქალი ქათამს აგინებს:
შენ, ქათამო, აქეთ მოდი,
თორემ ტურა წაგიღებს.

— შენ წაგიღებს და შეგჭამს ტურა, შენ!—დაილაპარა-
კა ვიღაცამ უკან.

მოვიხედე და რას ვხედავ: ერთი კარგად ჩაცმული,
გრძელ-წვერა ცხენოსანი და სამი თოფიანი ქვეითი კაცი
უახლოვდებიან ჩემ ხარებს; ცოტა მოშორებით ვიღაც სხვე-
ბი მირეკავენ ცხენებს, ხარებს, ძროხებს, და უკან ბავშვები
მიდიან ტირილით. მიჰყავთ ჩემი ხარებიც!

— აი ხარები ჩემია, ჩემი-ი-ი-ი!—ავღრიალდი მეც და
გავყევი უკან. მხოლოდ ახლა გავიფიქრე, შეიძლება ესენია
მეველეები მეთქი.

გავუსწორდი ცხენოსანს, შევხედე, ვიცანი და გამეხარ-
და.

იმას გაზაფხულზე, ბნელ ღამეში, მამამ ერთი გოდორი
ხაჭაპურები წაუღო და მეც დიდი ინდაური წამაყვანინა ზურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზე მოკიდებული,—სწორედ აი ამ კაცს მიართვა ...ცა სთხოვა.

მომემატა იმედი. ვიფიქრე, რომ მიცნოს, ხარებს არ წაიყვანს მეთქი. გადავწყვიტე თავი მეცნობებინა და ასე ეთხარი ტირილით:

— ბიძია, მე იგი ვარ, ინდოური რომ მოგიტანე ზურგით და ჩემმა მამამაც...

— წაეთრიე, წაეთრიე იქით!—დამიყვირა და მათრახით დამემუქრა.

მეც სულელი! იმას უთვალავი ინდოურები მისდიოდა, და ყველა მომყვანს აბა ვინ დაიხსოვნებდა?

ერთი საშუალება დამრჩა ახლა: დარწმუნებული ვიყავი, დამიტოვებენ ხარებს, რომ გაიგონ, ვისი შვილი ვარ. მამას ყველანი იცნობდნენ, როგორც ფიცხელს, მკაცრი ხასიათის და თავმოყვარე კაცს. მივმართე ამ საშუალებასაც:

— მე ჯამულეთის შვილი ვარ... მამას მაგის უკეთესი თოფი აქვს... ფიშტო და სატევარიც კი აქვს!—დავემუქრე მე.

მაგრამ ამანაც არ გასჭრა. პირიქით, ისეთი პასუხი მივიღე, რომ შემრცხვა.

მეტი რაღა დამრჩენოდა—ტირილით გავიქეცი სოფელში, მივირბინე მამასთანა ყანაში და ვუამბე ყველაფერი. მამა გაჯავრდა, დაიწყო ყვირილი:

— აბა სად მიპირებენ წასვლას? იქით არ გაუშვა, აქეთ არ გაუშვა... ცაზე ხომ ვერ ავფრინდები!

დასტოვა თოხი და წამოვიდა. მე ერთი მხრით ძალიან მიხაროდა; მეგონა—მამა იმათ კარგს არ დააყრიდა: დაუწყებდა ყვირილს,—ბავშვი რად ამიტირეთ, ხარების წაყვანა როგორ გაბედეთო,—თითო-ორ-ორს კიდეც გაარტყამდა ყველას, თოფით შეაშინებდა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვედით სახლში. მამამ გამხმარ ქალამნებზე წყალი გადაირო, შარვალი გაიბერტყა, დაიხურა თავზე განუნებული ყაბალახი, აიღო ჯოხი და მითხრა მეც გავყოლოდი.

— მამა, თოფი დაგავიწყდა?... იმათ თოფები აქვთ,— მოვაგონე მე.

— წამოდი ჩქარა... ნუ ატატანებ ენას!

მეწყინა თოფის წაულებლობა, მაგრამ ვიფიქრე, მამა ჯოხითაც დააშინებს ყველას მეთქი, და რაღაცას მოლოდინში მივსდევდი უკან.

გავუარეთ თეთრ ეკლესიას, რომლის ჩატეხილ ფანჯარას იჭვის თვალით შევხედე: მომაგონდა მნათობი ფრინველი.—ავედით მაღლობზე, სადაც იდგა ქვიტკირის, სულ სუროთი შემოსილი, წითელ-სახურავიანი დიდი სახლი.

აივანზე იჯდა ვიღაც მოხუცებული, კარგად მორთული ქალი; იმას ელაპარაკებოდა ცოტა მოშორებით მდგომარე ჩემი ნაცნობი ცხენოსანი.

ველოდი—აჰა, დაიყვირებს მამა, და ყველანი მოვლენ, თვით ის ქალიც კი, მოითხოვენ ბოდიშს, გაიმართლებენ თავს იმით, რომ მე არ მიცნობდნენ და იმიტომ გაბედეს ხარების წაყვანა-მეთქი.

მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება და ამასთან რაღაც სიბრალული მამისადმი, როცა მან მოიხადა ყაბალახი, შორიდან მისცა სალამი ქალს და სულ სხვა ხმით და კილოთი დაუწყო ხვეწნა.

— შენი ხარებისთვის მაქვს მე, ყაძახო, მამული?—ხმამაღლა დაილაპარაკა ქალმა და მრისხანედ გადმოხედა მამას.

გადაახდევინეს მანეთი და, როგორც იყო, მოგვცეს ჩვენი შავგული და წიქარა, რომლებმაც სიხარულით შემოგვბღავლეს: ეტყობოდა, იმათ არ მოსწონებოდა ბატონის ბოსელი

გამოვბრუნდით უკან. მე ვეკითხებოდი თავის თავს:

— როგორ შეაშინა ჩემი მამა ამ დედაბერმა? ნუ-თუ მამასაც ჰშინებია?—ეს ფიქრი ლოდად მაწვა გულზე. ... ნია, თუ სხვა რამე აგრე დამწვავდა გულს! სულ სხვა თვალით ვუცქეროდი ახლა მამას და ტირილს ძლივს ვიკავებდი.

— აგერ მეც გავიზრდები და მაშინ...—ვემუქრებოდი გულში ვიღაცას, და პატარა, ჭუჭყით გაშავებული მუშტი თავის თავად იკუმშებოდა.

— ვეწვალე კაცი... გამძრა ტყავი .. წავალ სადმე, მაგრამ სად, რომ არ ვიცი... სიკვდილი არ სჯობია ამისთანა ცხოვრებას?—ლაპარაკობდა მამა:—ცოდვაა ახლანდელ დროში საწყალი კაცის უსწავლელად დატოვება: ვერ გაუძლებს ცხოვრებას... ამიტომაა, რომ ანანიე*) მოვიცილე და მე მარტო ვწვალობ... შენც ხომ კარგად ისწავლი, კოჩა—მამულიე, კლასში რომ შეგიყვან?—უცებ მკითხა მე, მომიბრუნდა და ხელი მომისვა თავზე.

— კი,—აკანკალებული ხმით ვუპასუხე მე.

— ჰო, ისწავლო უნდა,—განაგრძო მამამ:—მე ციცაებით**) გავსებული მაქვს ნაცარი, მაგრამ ბიჭებს შინ მაინც არ დაგაყენებ... თითით ჩამოვეკიდები, მოჯამაგირედ დავდგები და თქვენ გზაზე დაგაყენებ...

— მამა, რომ გავიზრდები და ვისწავლი, შენ კარგ შარვალს და წუღებს გიყიდი,—მორცხვად ვუპასუხე მე. ამის მეტი არაფერი მომივიდა თავში, როცა მამის დაძონძილ შარვალს და დაგლეჯილ ქალამნებს ვხედავდი; თანაც მინდოდა რითიმე მენუგეშებინა ის:—დედასაც კარგ ჩითის კაბას მოვუტან,—დავუმატე.

— ჰო, კი, შვილო... აგერ სამი—ოთხი დღე კიდევ—და ენკენისთვე დადგება. კლასის დროც მოვა.

მაშასადამე სკოლაში უნდა შევიდე!..

---

*) ჩემი უფროსი ძმა—ეხლა ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებელი.

**) ციცაებით—გოგოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

მამის გაკვეთილი

აგვისტოს უკანასკნელი დღე იდგა. ჯერ კარგად არც კი გათენებულიყო, რომ ავდექი და მოვემზადე ხარების გასარეკად ჭალაში. აღმოსავლეთი წითლად იყო შეღებილი; მთვარეს ვერ მოესწრო გადაევლო ცის გუმბათი და ფერმიხდილი, თითქო ეშინიოო, იყო გამოკიდული ლურჯ უფსკრულში; ღრმად ეძინათ ხეებს უძრავ ჰაერში; გაღვიძებული სოფელი ხმაურობდა, თუმცა კვირა იყო. დედა სახლის წინ იდგა და ქათმებს სიმინდით აპურებდა; მე არ მინდოდა იმას დავენახე, და ამიტომ დიდი სიფრთხილით წავიყვანე ხარები ჭიშკრისაკენ, მაგრამ მივადექი თუ არა ჭიშკარს, შავგულამ მოიბრუნა თავი სახლისაკენ და, თითქო უნდოდა ჩემი განზრახვის გამოაშკარავება, დაიბღავლა.

— სად მიხვალ, ბიჭო, ასე ადრე?.. მერე კიდევ შეუბეჭდავი და უსადილოდ. მოდი ჩქარა აქეთ!—დამინახა თუ არა, მომაძახა დედამ.

— უსადილოდ!—გავაჯავრე მე:—სხვებს გოჭის ხორცი შეაყლაპეთ და მე კი ცივ მჭადს მაძლევთ.

— ნუ გაგიგრძელებია ენა, მობრუნდი აქეთ ჩქარა... ნუ გგონია, მამა შენი შორს იყოს წასული! აგერ ჩავიდა ყანის შესაბეჭდად,—გამაწყვეტინა დედამ.

ამის წინააღმდეგ არ შემეძლო რამე მეთქვა: მამის წკეპლით აზოლებული ზურგი მთელ იმ ღამეს მეწოდა და ახლაც კი მტკიოდა; რომ ფათერაკი ამეშორებინა თავიდან, (მამას ბროწეულის წკეპლები მუდამ მზად ჰქონდა ბავშვებისათვის!) გამოვაბრუნე ხარები, რაც ღონე მქონდა, ერთი წიხლი ჩავახალე შავგულას ცხვირში და ტირილით წავედი სახლისაკენ. კვლავ გაიღვიძა გულში იმ ღამის ჯავრმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ჯავრის და ზურგზე ხოლ-ლების მიზეზი იყო... გოჭი და ხაჭაპურები!

აი, როგორ იყო საქმე: წინა დღით, საღამოს, როცა ჭალიდან სახლში დავბრუნდი, დავინახე, რომ ჩემი პატარა დები ეზოს ასუფთავებდნენ და თანაც მხიარულად კისკისობ-დნენ და მღეროდნენ; სამზარეულო სახლის სახურავიდან და კარებიდან საშინელი ბოლი ამოდიოდა: ეს რაღაც მზადების მაჩვენებელი იყო; ოდაშიაც ოთახებს ვიღაც ასუფთავებდა და არახუნებდა. ძალიან გამიხარდა: ვიფიქრე, ალბად დიდი დღე-სასწაული ყოფილა მეთქი.

— კატო, დედას ქათამი ხომ არ დაუკლავს?—ველარ მო-ვითმინე და ქუჩიდან მივაძახე დას.

— ქათამი კი არა, გოჭიც კი დაჭკლა... აბა ნახე, შედი სახლში!

მართლაც შევედი სახლში თუ არა, მოვრთე ხტუნაობა და ცეკვა: აგერ გაწითლებული გოჭი იწვოდა შამფურზე, იქ რაღაც იხარშებოდა ქოთნებში, დედა ხაჭაპურებს აცხობ-და, უფროსი და მორთული იჯდა კუთხეში და უმარილით პირს იბანდა...

— დედა, დღეს რა უქმეა?—ვკითხე დედას.

— არაფერი უქმი არაა... მოდი, გადააბრუნე გოჭი: არ დაიწვას.

სიხარულით მივუჯექი გოჭს, ბეჯითად ვაბრუნე, თანაც ჩუმ-ჩუმად ვწიწკნე და ვლოკე, ასე რომ ბოლოს... კუდი სადღაც გაჰქრა; დანაშაულის დასაფარავად, იქვე მჯდომარე პატარა კატას დავაბრალე ქურდობა და წავარტყი თავში, მაგრამ ამ ხერხმა არ გასჭრა: დედის ფქვილიანი ხელით მეც მივიღე ტკაცანი. როცა პატარა დებიც შეიკრიბნენ სახლში, დავიწყეთ მსჯელობა, თუ ვის რა ნაწილი ხვდება გოჭისა. ცხრა წლის დამ აქვე გაგვაგებინა, რომ ჩვენ დღეს „ნახვა“ გვაქვსო და გაგვაფრთხილა—არავისთვის გვეთქვა, თუ რა იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნახვა“. ამის, ჩვენ პატარეებს, არაფერი გაგვეგებოდა და დიდი იმედით შევყურებდით ყველა ამ მზადებას.

შელამდა თუ არა კარგად, შემოვიდა მამა და უთხრა დედას:

— ქალო, სტუმრები მოვიდნენ... თქვენ ჯერ მზად არ ხართ?

— ყველაფერი მზადაა... რამდენი სულია, კაცო?—ჰკითხა დედამ.

— რამდენია და ათი.

ამის გაგონებამ ჩვენ, ბავშვები, ძალიან დაგვალონა: სტუმრობის დროს ჩვენ ყოველთვის მშივრები ვრჩებოდით, და ამიტომ გვეჯავრებოდა სტუმრები, ვწყევლიდით და ვაგინებდით იმათ. მაშასადამე, ახლაც გაგვიქრა გოჭის და ხაჭაპურების იმედი! ყველანი მზად ვიყავით, რომ დაგვეწყო ტირილი, მაგრამ მამის გვეშინოდა და ძლივს ვიკავებდით ცრემლებს.

— აბა, ბალნებო, დაიბანეთ ფეხები და დაიძინეთ ჩქარა!—გვიბრძანა დედამ.

— ამდენ ხანს რას უცდიან?—დაუმატა მამამ და გადმოგვინათა თვალები.

რაღა გაეწყობოდა, ჩავწექით ოთხივე ერთ ლოგინში, დავიხურეთ საბანი თავზე, მაგრამ ძილი ხომ შეუძლებელი იყო: თითო თვალი ყველას გვქონდა გამოჭყეტილი საბნის ქვეშიდან და ვათვალიერებდით ყველაფერს.

ბოლოს დედამ დაარიგა უფროსი და, რომ სტუმრებთან ცოტა ეჭამა, თავი ყოჩაღად დაეჭირა, ხმა-მაღლა არ გაეცინა, ლამპასთან არ დამჯდარიყო და სხვა; წაიღეს ვახშამი და წავიდნენ ოდაში.

დაბნელდა სახლში. ჩვენ მაშინვე ავდექით, ფრთხილად გამოვედით გარეთ, შევძვერით ოდას ქვეშ და იქ უხმოდ ჩავჯექით მტვერში.

ქეიფობდნენ ზევით, ცეკვავდნენ, მღეროდნენ; ჩვენ კი ქვემოდან ვუსურვებდით სტუმრებს სიკვდილს და განეთქას.

— მრა-ა-ავალ ჟა-ა-ა-ამ-ი-ერ...—დაიწყეს იქ.

— ჭ-ი-ირი ჭ-ა-ა-ა-ამი-ი-ერ...—დავიწყე მეც.

როცა შუაღამე გადავიდა, როგორც იყო, აიშალნენ სტუმრები და მოემზადნენ წასასვლელად; ჯერ ისინი აივნიდან არც კი იყვნენ ჩასულნი, რომ უკანა კარებიდან შევირბინეთ ოდაში და მივვარდით მაგიდას, სიჩქარით ორი თეფში გადმოვაგდეთ და გავსტეხეთ... გოჭისა და ხაჭაპურების ნამცეცებიც კი არ დარჩენილიყო! მოვრთეთ ყველამ ღრიალი, წყევლაკრულვა. მე გაცეცხლებულმა დავიყვირე:

— მიწა ჭამეთ, მიწა!

ყველა ეს სტუმრებმაც გაიგონეს და მშობლებმაც... ამიტომაც აგვიზოლა წკეპელმა ზურგები.

—

აგვისტოს უკანასკნელი დღე „კვიმატად" ითვლება გურიაში: ამ დღეს, ხალხის შეხედულობით, მომეტებული სიფრთხილე სჭირია ადამიანს, რომ რამე უბედურებას არ შეემთხვას, რადგან ყოველი ბოროტი ძალა—ეშმაკი, ჭინკა, მზაკვავი, ცუდი თვალი და სხვა—ამოძრავდება იმის სავნებლად. ეს რწმენა, ალბად, დაკავშირებულია იმ ცვლილებასთან, რომელიც ეტყობა ბუნებას შემოდგომის პირველ დღეებიდანვე: თანდათან კვდება მშვენიერი ზაფხული.

სანამ მე ვიდექი სახლის წინ და ვტიროდი, მამა მოვიდა ყანიდან და შებეჭდა ხარები: პატარა სანთლის ჯვრები მიაკრა რქებზე; ასეთივე ჯვრები მიმაკრა მეც თმაზე ყურებთან და მითხრა:

— დღეს სუფსის მეორე ნაპირზე გარეკე ხარები... ჭკუით იყავი—დღეს სხვა დღეა: წყალთან არ მიხვიდე; ნავში რომ ჩახვალ, ჩაჯექი შიგ, არ გადავარდე... ხარს წინ არ დაუდგე: რქა არ ამოგკრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დარიგების შემდეგ, პირჯვარი გამომისახა, დამაჩოქა და მათქმევინა ლოცვა:

„დამიცავი წმიდაო გიორგი და სამას სამოცდა ხუთო მთავარ ანგელოზებო!“

თუმცა მამა დარწმუნებული იყო წმინდა სანთლის ჯვრების სიძლიერეში, მაგრამ, ვატყობდი, არ იყო მაინც მშვიდად და უთხრა დედას, რომ შეელოცა ჩემთვის. დედამ გამოიტანა ერთი მუჭა ნაცარი, შემომავლო თავზე, მერე გააპნია მიწაზე ჩემს გარეშემო და შემილოცა:

„გასკდა შანთი, მტერს მოხდა თვალში, წავარდა თვალი“. ამ სიტყვებით გაათავა დედამ ლოცვა და დამარიგა, რომ, თუ სუკალიე ან რუსუდანა დამენახა, მიმეფურთხებინა და პირჯვარი გამომესახა. სუკალიე და რუსუდანა საშინელ მზაკვავ დედაბრებად ითვლებოდნენ სოფელში და ერთი ამათგანი გზის პირშიაც ცხოვრობდა!

— თუ უნდა გამთვალოს სუკალიამ... თქვენ ხომ სულ მცემთ... არაფერს მაჭმევთ,—ვბუტბუტებდი მე. როცა ქუჩაში გავიყვანე ხარები, უფრო თამამად ავამაღლე ხმა და კვლავ ნაძალადევად მოვრთე ტირილი: არ მავიწყდებოდა ღამინდელი...

— არ შეგეშინოს, კოჩა მამულიე... მეც მალე ჩამოვალ, ცოტა უნდა გასწავლო დღეს,—მომაძახა მამამ.

დაბლობში რომ ჩავედი, მზე ამოგორდა, ალერსით გაუცინა ქვეყანას და ვარდისფერად შეღება მთები, ტყეები და ყანების ზღვა; მხიარულად შრიალებდნენ ათავთავებული ყანები, თითქო გამოსთქვამდნენ თავის აღტაცებას, და მიწაზე ნამის წვეთებს, როგორც სიხარულის ცრემლებს, აფრქვევდნენ; იმათი პატრონები უკვე ჩამოსულიყვნენ, რომ შეებეჭდათ სანთლის ჯვრებით ჩაფოჩილი სიმინდი და ამით უზრუნველ ეყოთ ოჯახის წლიური სარჩო. უთვალავი ყვავების გუნდი შემზარავ ჩხავილით დასტრიალებდა ყანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იცის, იქნება ამ ყვავებში სუკალიეც კი ერეოდეს-ვია,—ვიფიქრე მე და შევაფურთხე ყვავებს: არა—ერთხელ მქონდა გაგონილი, რომ მზაკვავები ხშირად ფრინველებადაც იქცევიან, რომ დამალონ ბოროტმოქმედების კვალი.

სუფსა ნისლით იყო დაბურული და ჯერ კიდევ ეძინა; მზის ცელქ სხივებს აქა-იქ გაეპოთ ნისლის საბანი, ეხვეოდნენ და აღვიძებდნენ მდინარეს; აქოჩრილი პატარა ზვირთები იკრავდნენ იმათ ბროლის გულში, ეალერსებოდნენ და თითქო წასჩურჩულებდნენ მადლობას, რომ მათ დაამარცხეს ღამე და სინათლით გაავსეს ქვეყანა. ნავთან მისვლა ვერ გავბედე: თუმცა ჩემი დანაშაული ოქროპირის წინაშე საკმაოდ იყო დაჯილდოებული მამისაგან, მაგრამ ოქროპირთან ვერ მივედი, რადგან მრცხვენოდა იმის; მეორე ნაპირზე გაუსვლელობა კი არ შემეძლო. აბა სხვა რაღა უნდა მომეფიქრა, გავიხადე შარვალი და შემოვიხვიე ყელზე, ჩავრეკე ხარები ფონში, დავეკიდე ორივე ხელებით წიქარას კუდს და გავყევი. საშინლად ამიწვა ცივმა წყალმა ჭუჭყისაგან აქერტლილი და სისხლამდი დაკაწრული და დასერილი ფეხები... აგერ კიდევაც ამილო წყალმა, ფეხებით ძირს ველარ ვსწვდები, მაგრამ მაინც არ ვშიშობ: დარწმუნებული ვარ წიქარას სიწყნარეში და იმის კუდის სიმაგრეში. ეს პირველი ფეხით გასვლა იყო ჩემი მოზრდილ მდინარეში და საკვეხადაც მქონდა, რომ ასეთი გმირობა საშინელ „კვიმატ“ დღეს გამოვიჩინე... შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, ამ გმირობაზე ლაპარაკის დროს შემდეგში ხშირად ვუმატებდი, ვითომ და წყლის კაცსაც დავკარი ფეხი თავზე და ძლივს გავექეცი...

მალე მივედი მამის ნაჩვენებ მინდორზე, რომელიც სუფსის პირად იყო გაშლილი; ხარები ხარბად მიადგნენ ბალახს; მე დავჯექი სილაზე და დავიწყე სახლის შენება; მზემ კარგად აიმაღლა, და აღარ მციოდა; მეველეების შიშიც აღარ მქონდა: მამის მანეთი ჯერ კიდევ მიფარავდა; მალე სხვა გასართობიც გამომიჩნდა; ნისლ-მოწმენდილ მდინარეს ეხვეოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ და ეთამაშებოდნენ ურიცხვი თეთრი პეპლები, თითქო საბოლოოდ ხარობდნენ და ეთხოვებოდნენ გაზაფხულის დღეს; წყლიდან კი აქა-იქ ხტებოდნენ და თეთრად ელვარებდნენ მზის სხივებში პატარა თევზები; მე ავკრიფე კალთაში ქვები და დავიწყე ნადირობა: ვტყორცნიდი ქვებს და ვცდილობდი მომერტყა ამომხტარ თევზებისთვის; თანაც ვფიქრობდი:

— სავახშმო თევზი თუ მოვკალი, მამას არ ვაქმევ... აბა რად გამლახა იმან წუხელ! მამის მოგონებაზე ჟრუანტელი მივლიდა ტანში ახალი დანაშაულის გამო: მეშინოდა არ გაეგო მამას ოქროპირისაგან, რომ ნავით გასვლას წიქარაის კუდის საშუალება ვარჩიე.

ნადირობაში ვიყავი გართული, რომ მომესმა მამის ხმა:

— კოჩა-მამულიე, მოდი აქ!

იქვის თვალით შევხედე მამას და გაუბედავად, თავ-ჩაკიდული, მიუახლოვდი.

— დღეს, შვილო, ციფრები უნდა გასწავლო და ხვალ სკოლაში წიგიყვან,—ალერსით მითხრა, და მეც დავმშვიდდი: დავრწმუნდი, რომ ჩემი დანაშაულის შესახებ არაფერი გაუგია.

რალაც მღელვარება შევამჩნიე მამას; რამდენიმე წუთი ჩაფიქრებული იდგა; მერე მოიხადა თავზე, დაიჩოქა და დაიწყო ლოცვა; გაათავა თუ არა, მეც სამჯერ გამომსახა პირჯვარი, მიმაბრუნა აღმოსავლეთისაკენ, დამაჩოქა, დამადებინა მიწიერი თაყვანი და გამამეორებინა შემდეგი სიტყვები:

„უფალო, ყოვლის—შემძლებელო, მომეცი ნიჭი და შეძლება კარგად ვისწავლო... გამომიყვანე სასარგებლო და სახელოვანი კაცი“.

— თუ ამისრულებ, კაპიკიან სანთელს დაგინთებ,—ჩემით დავუმატე მე, რომ უფალს ესმინა ჩემი ლოცვა; მაგრამ აქ მომაგონდა ძველი, გადაუხდელი ვალი უფლისადმი და ვეჰვობდი, რომ ჩემისთანა მატყუარას გაუგონებს დიდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი: სანთელს ხშირად ვპირდებოდი და ერთიც კი არ ამინთია; ამიტომაც გამეზარდა ვალი, რომელიც მძიმე ლოდივით მედო გულზე, და ყოველ იმის მოგონებას შიშში მოვყავდი.

სიხარულით მიცქერდა და მიცინოდა მზე; ნაზობდა კრიალა ცა; ჩუმად დუდუნებდა გაღვიძებული სუფსა.

— შენ ხომ იცი, რომ შენი ჭიპი ქაღალდზეა დაჭრილი? როცა დაიბადე, მაშინ დაგაჭარით... აბა თოხზე ხომ არ დაგაჭრიდით,—თოხით მუშაობა მეც მეყოფა,—შენი საქმე წიგნი და ქაღალდი უნდა იყოს!—ამ სიტყვებით გახსნა მამამ ჩვრებში გახვეული, ჭვარტლით გაშავებული, რაღაც ქართული წიგნის ფურცელი, რომელიც შუა ალაგას უფრო შავი და ჭუჭყიანი იყო.

— აი, ნახე, აგია შენი ჭიპის კვალი... შავად რომ სჩანს, გამხმარი სისხლია. ჰო, და იმიტომ ვინახავ ამას, რომ კარგად ისწავლო და შეიქნე სასახელო და გამოსადეგი კაცი.

— მერე ჭიპის დაჭრას რამე შეუძლია?—ვკითხე მე.

— როგორ არ შეუძლია? რაზედაც დააჭრიან ჭიპს, ბავშვი იმას შეითვისებს და შეიყვარებს... აბა ნახე, თუ ამოიცნო რამე ამაზე,—სთქვა მამამ და ფრთხილად მომცა ხელში ფურცელი. მე ძლივს გავარჩიე რამდენიმე ასო, რითაც ძლიერ გავახარე მამა.

— ჰო, ანბანი ქე იცი; დღეს ციფრები უნდა ისწავლო.

გამხადა შარვალი, კიდევ გამომსახა პირჯვარი, თვითონაც, თავმოხდილმა, რაღაც სიტყვებით აიხედა ცისაკენ, მერე ამიყვანა და ჩამსვა წყალში მუხლებამდის: ეს იმიტომ, რომ „წყალსავით“, ესე იგი ჩქარა, მესწავლა და ასევე ჩქარა შემძლებოდა მომეკრიფა აზრი და გამომეთქვა შეძენილი ცოდნა; ტყუილად არ ამბობენ გურიაში მოსწავლე ბავშვები—„წყალსავით ვიცი გაკვეთილიო“.

მეცივა წყალი, და ამეწვა ფეხები.

— ვაი... უჰ... ცივია, მეწვის,—შევსჩივლე მამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოითმინე, მოითმინე... როცა ოცამდი კარგად ისწავლი, მაშინ ამოგიყვან,—მშვიდად მიპასუხა მამამ და გაშალა მეორე ფურცელი, ესეც ჭვარტლიანი, მაგრამ უფრო დიდი; ზედ ლამაზად იყო ჩამომწკრივებული რაღაც პატარაები—ჯერ თითო, მერე ორ-ორი, ბოლოს სამ-სამი.

— კი, მარა გველმა რომ მიკბინოს წყალში ფეხზე?... დღეს ხომ „კვიმატია",—მივმართე ამ ხერხს, რომ მალე ამოვეყვანე წყლიდან, მაგრამ ამაოდ.

მეტი თუ არა, ორი საათი მაინც ვიდექი წყალში; ფეხები ისე დამიბუჟდა, რომ ტკივილსაც კი ვერ ვგრძნობდი; მამას უსათუოდ უნდოდა დაეძლია კვიმატი დღე და რაც შეიძლება კარგად დაესწავლებინა ჩემთვის „ოცამდი", რომ საქმე შეემსუბუქებინა, ადარებდა ციფრებს სხვა-და-სხვა საგნებს, ასე რომ თვალ წინ მეხატებოდა კაკუტაიანი ჯოხი, ღორის ხორცისთვის ჭერზე ჩამოკიდული ფორჩხი, შუაზე გადაწირეხული ბლითი, იგივე ბლითი, მხოლოდ ცოტა გაგრძელებული, და სხვა ბევრი რამე; ბლითების ხსენებაზე ნერწყვით მევსებოდა პირი, მავიწყდებოდა მამის გაკვეთილი და ვიგონებდი ქალაქს, სადაც ბევრი შეწითლებული ბლითები მენახა.

— დედა დღეს ქალაქში ხომ არ წასულა?—უცებ ვკითხე მამას.

— რა გინდა მერე?

— იქნება მოიტანოს რამე,—გაუბედავად ვუპასუხე მე, რადგან ვიგრძენი, რომ უადგილო ლაპარაკი დავიწყე; „რამე" ნიშნავდა ბლითს, ან თეთრი პურის ნაჭერს, რომლისთვისაც, როგორც იტყვიან, სული მიმდიოდა.

ძალიან სწყინდა მამას, როცა შეცდომას დავუშვებდი; შეცდომებს კი სათვალავი არ ჰქონდა; ალბად იმას აშინებდა ის გარემოება, რომ მე ამ დღეს ვერ გამოვიჩინე საკმაო ნიჭი და ყურადღება. ან კი როგორ უნდა გამომეჩინა, როცა ბევრი რამ გარეგანი გარემოება იზიდავდა წამის-წამ ჩემ ყურადღებას და სულ მავიწყდება მამის გაკვეთილს: აგერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმაძღარ ღორ-იხვების უთვალავი გროვა ჩაცვივდა ჩვენ ახლო მდინარეში და დაიწყო თევზებზე ნადირობა; ყანჩები თავმომწონედ დადიოდნენ კიდეებზე და უდარაჯებდნენ ღორ-იხვებისაგან შეშინებულ თევზებს; ყვავები უშიშრად ასხდნენ ხარებს ზურგზე; მოუსვენარ ჭრიჭინებს ლხენა ჰქონდათ გამართული აქვე ბალახში; პაწაწკინა შავ-შავი თევზები მოგროვილიყვნენ ჩემ გალურჯებულ ფეხების გარშემო და თამაშობდნენ მზეზე; საუცხოო ლამაზი წყლის შაშვი ცოტა მოშორებით იჯდა დიდ ქვაზე და დასცქეროდა წყალს, ათვალიერებდა თევზებს; იქ სწრაფი შაკი*) მრისხანე წივილით მოსწყდა ჰაერს, დაეცა მდინარეს და კლანჭებით ამოათრია დიდი თევზი. ერთი სიტყვით, თითქო ყველას გაეგო, რომ მე ვსწავლობდი და მოსულიყვნენ დაეცინათ ჩემთვის შეცდომების დროს და ამით მაინც გადაეხადნათ სამაგიერო მრავალ შეურაცყოფათათვის, რომელიც მივაყენე იმათ ზაფხულის განმავლობაში.

მაგრამ ყველაზე უფრო აი ვინ იზიდავდა ჩემ ყურადღებას: აგერ, სულ ახლო, წამოსკუპებულიყო ქვაზე პატარა მოშავო ბაყაყი, დიდრონი თვალებით მიცქეროდა და ხშირად იძახდა: „ყრუ, ყრუ“. მე ვცდილობდი ცალი თვალი ციფრებისაკენ მქონოდა, მეორე კი ბაყაყისაკენ, მაგრამ ეს უხერხული იყო; მამამ ადრე შეამჩნია და მოულოდნელად დამიყვირა:

— რას უყურებ, ბიჭო?

— აბა აი დაწყევლილი ბაყაყი რად მიცქერის და მიშლის,—აკანკალებული ხმით ვუპასუხე მე...

ბოლოს, როგორც იყო, ვიცოდი „წყალსავით“ ოცამდი დათვლა რუსულად, და მამამ ამომიყვანა წყლიდან.

— იცოდე, რომ კარგად უნდა ისწავლო, ყველაზე უკეთესი შენ უნდა იყო... ისე სახლში არ შეგიშვებ... რომ

*) ფრინველის სახელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზარმაცო, ფეხით ჩამოგკიდებ ჭერზე,—გამაფრთხილა—ბიბამ, დამისვა მუხლებზე, გადამისვა თავზე ხელი და განაგრძო:—მე უპატრონოდ ამოვიზარდე, შვილო, კარგი და ავის მცოდნე არავინ მყავდა, ბევრი გასაჭირი და ვაი-ვაგლახი გამოვიარე; შენ კი გყავს პატრონი... ღმერთით, კეთილ გზას დაადგები და არ იქნები ჩემსავით ბრმა... ხვალიდან წიგნი შენთვის ყველაფერი უნდა იყოს.

უკანასკნელი დღე ვიყავი მინდორში; გათავდა ზაფხული, და ჩემი მწყემსობაც უნდა შეწყვეტილიყო; სამი თვის უკან ტირილით და უკმაყოფილებით ჩამოვედი სუფსის მინდვრებში და ახლა მზად ვიყავი ტირილითვე გამოვთხოვებოდი იმათ: ასე შევეთვისე სუფსის მიდამოებს და შემიყვარდა ისინი. გამოვეთხოვე მდინარეს, ყანებს, მინდვრებს, თევზებს და ფრინველებს.

— მშვიდობით, მშვიდობით!

გაბრიელ გოგუაძე.

(პირველი და მეორე წერილის დასასრული)

მაისის წვიმა

მაისის წვიმა, წვეთებ—ციმციმა
ლურჯ ფოთლებს ზლაპრებს ესაუბრება,
და ფოთოლთ კრება ნაზად იხრება,
ყვავილებს, ბალახს ცვარი ეყრება.

მაისის წვიმა რამ დაამძიმა,
ფოთლებს რო უშლის თავის აღერას,
და ფოთოლთ ქნარზე—ტყე და ბუჩქნარზე
დამღერს ნაღვლიანს და ჩუმ სიმღერას.

მოვიდა წვიმა, უცებ ჩასთვლიმა
ლაღმა ბუნებამ და გაინაბა,
მხოლოდ სიო ჰქრის, წვიმის წვეთებს ჰყრის,
რომ შეუბერტყოს გაზაფხულს კაბა.

ჩუ, შეწყდა წვიმა, მზემ გაიღიმა,
ტყე მინდორ-ველი ააცქრიალა,
სირმა ჩანგური, ხმა საამური,
აამეტყველა, ააწკრიალა.

მაისის წვიმა შვების ცრემლია
ტურფა ქალწულის,—ნაზ გაზაფხულის,
და მაშინ აფრქვევს, როს სიხარული
სურს ამცნოს მიწას,—მგრძნობიერ გულის.

ი. სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახაბერის ნადიმზე

(ძველი ამბავი)

ეშვენიერია და საოცნებო სანახავი ზაფხულობით ზემო რაჭა. უსიერი ტყით დაბურული ამაყი მთები, ყვავილ-მოლნარით შემკული ველი, პურის ყანების ოქროთი მბზინავი მინდვრები, ფირუზი ცა, საამური ჰავა, ფრიალო კლდენი, მაღლიდან დაქანებული ბროლის ჩანჩქერნი,—ეს ცრემლები ამირანისა,—აი, ის ტურფა ედემი, აი, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კეკლუცი კუთხე, რომლის სახელია **რაჭა.** შუაში მოშხუის გიჟმაჟი რიონი,—ეს ფასის მთის ჩაუქი შვილი, და მისი ცელქი ტალღები ელამუნება კლდოვან ნაპირებს. იქ შორს ზემოდან დასცქერის ამ ტურფა ედემს რაღაც იდუმალ ალერსით, სამარადისო თოვლმობურული **იალბუზი,** ცამდე აწვდილი, ყინულოვანი, რომლის თეთრი გულ-მკერდი კიაფობს ფანტასტიურ ფერებად ჩამავალი მზის ჯადოსნურ სხივებზე...

უცქერ ამ ღვთაებრივ მშვენიერებას, სტკბები ამ ედემის თილისმა ფერადებით, სუნთქავ, ვით ლაღი ირემი, ამ სუბუქ ჰაერს, შარბათივით ტკბილსა და საამოს, სვამ თითქო მასში გამდნარ სიცოცხლის ნექტარს, პირს გიკოცნის ცელქი სიო თავის ალქატა ფრთებით და ამ დროს შენი გული ივსება ნეტარებით, ივსება უზენაესი სიყვარულით ბუნებისადმი და შენი ბაგენი უნებლიედ მუსიკობენ ზევსურს ტურფა სამშობლოს მიმართ...

დიდებული პიროვნებაა **კახაბერ ერისთავი,** მფლობელი ვრცელი რაჭისა, დიდი ერთგული თამარის ტახტის, მტრის ზარდამცემი, უახლოესი პირი, მესაიდუმლე და მამობილი თვით **თამარ მეფის.** მოხუც გმირს მხარს უმშვენებენ შვიდნი ვაჟკაცნი, მისი შვილები, რომელთ თამაშად უჩანთ ომი და სისხლის დაღვრა სამშობლოს მტრისა. ბარაკონის მიუვალი ციხე, წესის მაღლობზე გადმომდგარი დიდი სასახლე, ფართო ეზო, შეკრული კაკლის და ცაცხვის ბუმბერაზ ხეებით, იქვე ტკბილ-მოდუდუნე კამკამა წყარო. იქ მთებში იალაღზე გაშლილ ცხვრის, ძროხის და ცხენის უთვალავი ჯოგი, მათ შორის 300 ფურ-ირემი.

ეს ვრცელი მამული, ეს დიდი სასახლე, ციხე-კოშკები, მაგარი ბურჯნი, ირმის ჯოგები, ეს უამრავი სიმდიდრე ეკუთვნის რაჭის ერისთავს, მაგრამ კახაბერს არად უჩანს ეს დიდება. მის უდიდეს, მის მამობრივ სიამაყეს შეადგენს მხოლოდ მისი ასული ტურფა **მარიკა,** ეს ნაზი სუმბული რაჭის მთე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა, ეს შუქმფენი ცისკარი, რომელიც ულიმის გაბთიადის დროს ჯერ ისევ მძინარ ბუნებას. შორს არის გასული მარიკას სიტურფის ამბავი. საქართველოს, ირანის და მცირე აზიის მგოსნები და მუტრიბნი დამღერიან ჩანგზე მის საოცნებო მშვენიერებას, შეაქებენ ლერწმის ტანადობას, ეშხით მნთებარე თვალებს, თეთრ გულ-მკერდს, მის ცეკვას და სიმღერას. ეს ალქატი, მუდამ ცქრიალა, მთის ნებიერი ასული თავის უმანკო სიცილ-კასკასით და ცელქი მხიარულობით უხვად აფრქვევს ირგვლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას...

მაგრამ მარიკას სახე, მისი თვალები, მისი ნარნარა ხმა და შველისებური ცეკვა-შუშპარი დიდიხანია ხიბლავს ერთ ჭაბუკს. მისი გული შეუპყრია ზენაარ გრძნობას. კახაბერის კარის კაცი, მისი ერთგული მედროშე რაინდი, მოხდენილი ვაჟკაცი, აზნაური **დათუნა გოცირიძე**, აი ის ჭაბუკი, რომლის გულში ანთებულია ლამპარი სიყვარულისა! ამ საიდუმლო ძალას შეუბორკავს მარიკას ნორჩი გულიც, მასში უკვე დაუნთია საამო ცეცხლი ვაჟის მგზნებარე თვალებს. ქალის მშვენიერ სახეს ოდნავ მოუბურავს სევდის მარმაში. მარიკას და დათუნას უყვართ ერთმანეთი ჩუმად, ფარულად. ეს იცის მხოლოდ მარიკას დედამ. ნეტა ვინ გაბედავს და ვინ გაუმხელს ამას თვით მამას, ძლიერ კახაბერს, რომელიც ფიქრობს მიათხოვოს თავის მზე და მთვარე, თავისი ასული რომელსამე ქებულ მთავარს.

უცებ გავარდა ხმა, რომ რაჭაში მოდის სტუმრად დიდი თამარი თავის ქმრით, ვაჟით და ბრწყინვალე ამალით. ეს საამო ამბავი აუწყა მეფის შიკრიკმა თვითონ კახაბერს, რომლის სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. ბაჯაღლო ოქროებით აუვსეს პირი მახარობელს. გაიმართა საარაკო ნადიმი ერისთვის ბაღში. ტოტებ-გადაშლილ ჩეროვან ცაცხვების ქვეშ გაშალეს ვრცელი სეფა რამდენიმე წყებად. დაიკლა ოცი მსუქანი დეკეული და ორმოცდაათი ვერძი, აურაცხელი გო-

ჭი და ქათამი. დააცხვეს რაჭული უგემრიელესი თორნის ჭურები, ლავაშები და ოთხკუთხა ხაჭაპურები; შეწვეს ნიგვზის ფოთოლში შაორის და ხარითვალას კალმახები, მოხარშეს განთქმული ლორი. მოხადეს დიდი ჭურები, ამოიღეს ნექტარის მზგასვსი შვიდი წლის წითელი ღვინო ალექსანდრეული, ტოლა-ხვანჭკარის დიდ ზვრებში დაწურული.

თეთრ წვერ-ულვაშა ახოვანი კახაბერ თავის ლომა ვაჟებით და რაჭის თავად-აზნაურებით ცხენზე შემსხდარნი შორს მიეგებნენ ძვირფას სტუმრებს. ცოტა-ღა უკლდა მზეს ჩასვლა, რომ გაისმა ტკბილი მხედრული. „თამარის დროშას“ მოჰყვა „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“... ადამიანთა მძლავრ გუგუნს ბანს აძლევდა რაჭის მაღალი მთები და კლდეები.

აჰა, შეხვდნენ ერთმანეთს სტუმარ-მასპინძელნი! ჰაერში გაიწკრიალა თამარის ციურმა ხმამ. თეთრს არაბულ რაშზე მოხდენით მჯდომარე საქართველოს მზე მხიარულად მიესალმა თავის მამობილს. მოხუცი ერისთავი მარდად გადმოხტა თავის შავ მერანიდან, მივარდა მეფეს და მოწიწებით ეამბორა მის ხელსა და კალთას. თამარი გადაეხვია თავის ერთგულს, აკოცა მხარსა და ქოჩორზე.

თამარს ახლდნენ მისი ქმარი **დავით სოსლანი**, ხუთი წლის ვაჟი **ლაშა გიორგი**, ამირ—სპასალარი **ზაქარია მხარგძელი**, მოხუცი **გამრეკელი**, ბრძენი ჭყონდიდელი, აურაცხელი სარდლები და ვეზირები, მასთან დიდი მგოსნები და ფილოსოფოსნი: ენა—მჭევრი **სარგის თმოგველი**, ლექსთა უშრეტი **იოანე შავთელი**, ტკბილ—მოუბარი **მოსე ხონელი**, მკვირცხლი, ენამზიანი **ჩახრუხაძე** და მათ შორის ყველაზე უფრო ნორჩი, მაგრამ უკვე სახელგანთქმული **შოთა რუსთაველი**. ახლად აშლილი შავი წვერ-ულვაში, ნაზი, კულულა თმა, ფართო შუბლი და საოცნებო თვალები ამკობდნენ მის შვენიერ სახეს, რომელსაც ეჭდო რაღაც იდუმალი სევდა. შორს, ცის სივრცეში იცქირებოდნენ გენიოსის თვალები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქო ეძებდნენ იქ ზენაარ სანატრელს, მსოფლიოს—სიბრძნეს, ცხოვრების საიდუმლოს და მარადისობას...

თუთხმეტი დღის ბადრი მთვარე უხვად აფრქვევდა ციალა სხივებს მითვლემილ ტურფა ბუნებას. იქ მოშორებით ასკილის ბუჩქზე ნაზი ბულბული გაჰკიოდა თავის მკვნესარ ჰანგებს. აქ დიდ ბაღში ხის ტოტებზე გამაგრებული თხილის ჟინჟღილები ჰფენდნენ თავის მოწითლო ნათელს დიდებულ ნადიმს. ოქროს თასი, ვერცხლის აზარფეშა და მოჭედილი კულა—ყანწები გადადიოდა ხელიდან ხელში. შარბათივით ტკბილი ალექსანდრეული ახალისებდა მოქეიფეთა გულს და გონებას. კაფია, მუნასიბი, ზმნა და შაირი აცხოველებდნენ სუფრას. ჩანგი, ებანი, წინწილ-ბობღანი, ქნარი და ტურულა, მუტრიბთა მიერ მწყობრად დაკრულნი, ატკბობდნენ სმენას. სუფრული, ხელხვავი, ძილის პირები და მრავალჟამიერ, მომღერალთა მიერ მშვენივრად თქმულნი, ჰგვრიდნენ იქ დამსწრეთ დიდ ნეტარებას. ქართული მოხდენილი ცეკვა-თამაში, ქალ-ვაჟთა მიერ შესრულებული, აგვირგვინებდა საზღაპრო ლხინს.

თამარ წყნარი, პირმცინარი, ხმა—ნარნარი, მშვენიერი მეფის გვირგვინით, მოსილი თვალ-მარგალიტით იჯდა სუფრის თავში მდიდრულ სევანზე. მხარს უმშვენებდნენ დიდებულ მეფეს მარჯვნით დავით სოსლანი და მარცხნით თვით მასპინძელი კახაბერი. იქვე უსხდნენ შვენება კოლხეთ, ივერიისა დიდი მგოსნები, დიდი სარდლები და კეკლუცი ბანოვანნი. თამარს თავს ადგნენ და მსახურებდნენ ტურფა მარიკა და მისი მიჯნური დათუნა გოცირიძე. ქალი სთავაზობდა მეფეს ტკბილეულს, ვაჟი აწვდიდა ღვინოს ოქროს თასით და აზარფეშით. თამარი გადახედავდა ხოლმე შეყვარებულ ქალ-ვაჟს და მის ღვთაებრივ სახეზე გადიშლებოდა ოდნავ ნაზი ღიმილი. მას ესმოდა თითქო შეყვარებულთა იდუმალი ხვნეშა, მათი საიდუმლო გულის ფანცქალი. მეფემ

იცოდა უკვე მათი მწვავე გრძნობა და განგებ მობრძანებულიყო ახლა ერისთვთან სტუმრად, რომ ეშველა მათთვის. იცოდა თამარმა, თუ რა მწვავე და მძაფრი იყო სიყვარულის განცდა. მან ლმობიერად შეაჩერა კიდევ თვალები შეყვარებულ ქალვაჟს და გადახედა მასპინძელს, თავის მამობილს. კახაბერი თითქო მიუხვდა მეფეს საიდუმლო ზრახვას და ჩაღუნა თავი. მეფემ გადახედა შეზარხოშებულ სარდლებს და მგოსნებს, რომლებიც ამ დროს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ზმნებსა და კაფია-შაირებში. უცებ შეწყდა ყველაფერი, ჩამოვარდა სიჩუმე. ეს დუმილი დაარღვია ისევ თამარის ნარნარა ხმამ:

— ჩემო მგოსნებო, რიტორნო და ფილოსოფოსნო! გვამცნეთ, გვაუწყეთ კრებას, თუ რა უფრო სამნიშვნელოა ქვეყნად: კაცის პირადი ღირსება, კაცის ნიჭი, ზრდილობა და დარბაისლობა, თუ ბრწყინვალე გვარი, ყმა დამამული?— ბრძანა მეფემ.

ჩამოვარდა ისევ სამარისებური სიჩუმე. ასეთმა მოულოდნელმა კითხვამ შეაკრთო, გააოცა ყველანი და სხვებზე უფრო თვით ბრძენი კახაბერი, რომელიც მამობრიული გრძნობით უკვე ატყობდა თავის ასულს მის ხელქვეით, უბრალო აზნაურისადმი სიყვარულს და ეს შემეცნება ჰგვრიდა ღრმა სევდას დიდ ფეოდალს.

— ამ დროს წამოდგა დინჯად ყველაზე უფრო მცხოვანი მგოსანი და ფილოსოფოსი სარგის თმოგველი, ხელთ იპყრა აზარფეშა, გაავსო ღვინით, გადახედა კრებას და დაიწყო:

დიდო მეფეო!...

„ვით მზე დიადი ანგრქვევს მიწას შუქსა და სითბოს,
ამ რიგად გვარი, დიდი გვარი ჰფენს ყველას სიტკბოს.
უგვარო კაცი მატლი არის, მწერი მტოტავი,
ფრთებ-დაგლეჯილი, სხვისი მოხა და სატოდავი.
გვარიშვილი კი ძლიერია, ვით მზე მბრწყინავი,
იგი ლომია, უგვარო კი—უმწეო კრავი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამთავრა მგოსანმა ეს ლექსი, კაფიად თქმულა. დალია მეფის სადღეგრძელო, გადვიდა, მიუახლოვდა მეფეს, დაიჩოქა ცალ მუხლზე, ეამბორა თამარს ხელზე და დაჯდა თავის ადგილას.

სარგის თმოგველის ლექსმა დიდი აღტაცება გამოიწვია იქ დამსწრე თავადთა შორის. სიხარულით აივსო განსაკუთრებით კახაბერის გული. მან ასწია თავი და კმაყოფილებით გადახედა თამარს, რომლის სახეს შეამჩნია ოდნავი წყენა. თმოგველის მზგავსი აზრი წარმოსთქვეს სხვა მგოსნებმაც, დაჰგმეს უგვაროობა და შეასხეს გვარს ქება და ხოტბა. თამარს დაეტყო მეტი და მეტი წყენა. ამ ლექსებმა მოსწყვიტეს წელი შეყვარებულ ქალ-ვაჟს, რომლებიც მიუხვდნენ მეფეს დიად განზრახვას.

თამარმა კვლავ გადახედა კრებას და მოჰკრა თვალი მოშორებით მჯდომარე შოთას.

— ჩემო სულმნათო, ჩემო სასიქადულო ნორჩო მგოსანო, აბა შენც გვითხარ რამე გვარზე და ადამიანის პირად ღირსებაზე! — გაიწკრიალა თამარის ხმამ.

შეკრთა შოთა რუსთაველი, გამოირკვა ოცნების ბურანიდან ობოლი მგოსანი, ეს მესხეთელი აზნაურის ართავაჩის ძე, წამოდგა სწრაფად, თაყვანი სცა მეფეს, გაავსო ყანწი ღვინით, გადახედა კრებას მგზნებარე თვალებით და დაიწყო ტკბილად:

„ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზე ჰქონდათ ცილობა:
ბატონი უმასა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილობა.
ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“...

დაამთავრა მგოსანმა ეს საოცარი ლექსი, ადღეგრძელა მეფე, შესვა ჩვეულებისამებრ ყანწით ღვინო, დაიჩოქა ცალმუხლზე თამარის წინაშე და მოწიწებით ემთხვია მის ხელსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კალთას. აღტაცებული მეფე დასწვდა დიდებულ სულმნათს, სინაზით ეამბორა მის ფართო შუბლს და მისცა ალაგი სუფრაზე თავის სიახლოვეს. ზრიალით მოედვა მთელ კრებას ეს ახალი სიტყვა, ეს გაბედული აზრი, ასე მშვენივრად თქმული შოთას მიერ. მეთორმეტე საუკუნეში დიდი თავადების უსაზღვრო ბატონობის დროს მთელ ქვეყანაზე, დიდი კახაბერის ბრწყინვალე ნადიმზე საქართველოს მეფე-დიდებულთა თანადასწრებით „ვიღაც ნორჩი, თავხედი მგოსანი," „ვიღაც უცნობი გვარიშვილი" ბედავს, ჰგმობს გვარს და თამამად ღაღადებს ადამიანის პირად ღირსებას და ათჯერ უფრო მაღლა აყენებს კაცის ზრდილობას თვით დიდებულ გვარზე. დიდი უკმაყოფილება დაეტყოთ იქ დამსწრე თავადებს. იმათ გადახედეს მეფეს, რომლის მშვენიერ სახეს აშუქებდა სიხარული. თამარი მიუბრუნდა კახაბერს და უბრძანა წყნარის ხმით:

— ხომ გესმის, ჩემო ერთგულო, რას ამბობს შოთა, დიდი მგოსანი! მისი ბაგეთი ღაღადებს თვითონ ღმერთი. გვარიშვილობა, პირადი ღირსება ადამიანის კუთვნილებაა. ჭკუა, გონება, მაღალი ნიჭი, სიმამაცე, ზრდილობა, სიმშვენიერე და სხვა სათნოებანი თანდაყოლილი საუნჯეა, რომელსაც აძლევს ადამიანს თვითონ ღმერთი. ამიტომ ნუ გიკვირს, რომ ღმერთის მიმადლებული ბევრად უფრო მაღლა სდგას ადამიანის ბოძებულზე. ჩაუკვირდი ამ სიტყვებს, ჩემო კახაბერო! შენ კარგად გესმის, თუ რად ვამბობ ამ სიტყვებს. მე არ მსურს ძალდატანება, მაგრამ გებრალებოდეს ორი შეყვარებული ღირსეული ადამიანი, გებრალებოდეს შენი მშვენიერი მარიკა.

ბრძანა მეფემ ეს სიტყვები ჩუმად და კვლავ გადახედა შეყვარებულ ქალ-ვაჟს, რომელთა გულს მოჰფინეს იმედის შუქი შოთას უკვდავმა სიტყვებმა და თამარის ფურჩულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახაბერი წამოიჭრა თავის ადგილიდან, დაიჩოქა ცალმუხლზე და მოახსენა თამარს:

— დიდო მეფეო, მე მზადა ვარ შემოგწირო მთელი ჩემი ქონება, ჩემი ცოლშვილი, ჩემი სიცოცხლე; ჩემი ნუგეში, ჩემი ასული ინებეთ უკანასკნელ მხევლად, მაგრამ ამას კი ნუ ინებებთ, რომ უგვარო კაცს, ჩემს ყმას, ვილაც გოცირიძეს მივცე ჩემი ძვირფასი მარიკა! ნუ შემირცხვენთ საქვეყნოდ წვერულვაშს, ნუ გახდით, მეფეო, სასაცილოდ თქვენ ერთგულს, თქვენთვის თავდადებულ მოხუც კახაბერს.

ფრიად შეწუხებულმა თამარმა უბრძანა ერისთავს წამოდგომა და დაისვა გვერდით. მეფე მიეცა ღრმა ფიქრს. უცებ გაუბრწყინდა თამარს ღვთაებრივი სახე, მან გაშალა სუფრაზე თავის აბრეშუმის ხელმანდილი, მოატანინა მელანი და ორბის კალამი და დასწერა რაღაც. გაათავა წერა მეფემ და გადასცა მანდილი წასაკითხად და აღსასრულებლად თავის მდივანს და მოლარეს შოთა რუსთველს. შოთა წამოდგა, გაშალა მანდილი და წაიკითხა საყოველთაო გასაგონად შემდეგი:

— სახელითა ღვთისათა, მე დავითიან ბაგრატოვანი თამარ მეფე, მპყრობელი სრულიად საქართველოისა, კავკასიონის მთის ხალხთა, სომხეთის და მცირე აზიის სახანოებისა, ვაძლევ ჩემ ერთგულს, რაჭველ აზნაურ დათუნა გოცირიძეს თავადის ხარისხს და ქსნის ხეობის ერისთვობას ციხე-კოშკებით, ყველა სოფლებით, ყმა და მამულით.

— ახლაც არა ხარ კმაყოფილი, ჩემო კახაბერ?! ახლაც უარს იტყვი გოცირიძის სიძეობაზე?! — უბრძანა ღიმილით თამარმა რაჭის ერისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახაბერი დაემხო მეფის წინაშე და მხურვალე გრძნობით ეამბორა მის მუხლებს.

— არა ვარ ღირსი თქვენის წყალობის!—ღაღადებდნენ კახაბერის ბაგენი.

— აბა, დასვით შეყვარებულნი ჩემს პირდაპირ, გააჩალეთ ლხინი, მუტრიბნო, დაუკარით ტკბილი ჰანგები: დღეს მარიკას და დათუნას ნიშნობაა!—ბრძანა მხიარულად თამარმა.

სიხარულმა შეიპყრო იქ დამსწრე საზოგადოება. გაშალეს ახალი სეფა და გაიმართა ახალი ლხინი და ქეიფი. მოჰგვარეს მეფეს უსაზღვროდ გახარებულნი, მაგრამ სირცხვილით გაწითლებულნი მარიკა და დათუნა, რომელნიც ეამბორნენ ხელზე თამარს მადლობის ნიშნად. ისინი დასვეს მეფის პირდაპირ. გაიმართა მილოცვა და პირისანახავის მირთმევა. თამარმა გამოიძრო ყურიდან თავის ფასდაუდებელი ლალის საყურეები და უბოძა კახაბერის ასულს; თვითონ კახაბერმა მიართვა სიძეს ოქროთი მოჭედილი ხმალი, სიდედრმა კი შემოარტყა მას ოქროს სარტყელი. მომღერალთა საამო ხმები და საკრავთა ნაზი ჰანგები ატკბობდნენ სუფრას. გაიმართა ცაცხვებ ქვეშ ხელ-ახალი საზეიმო ქეიფი. ათამაშეს „მეფეფედოფალი“, რომელთა ნარნარა ცეკვამ მოხიბლა დამსწრენი.

უკვე ამოვიდა ცისკარი და მოაფრქვია ნადიმს თავის ხასხასა შუქი. ბუჩქებში შეფარებულმა ბულბულმა კვლავ ააკრთო თავის ნაზი ტურულა. ამ დროს ცოტა მოშორებით წალკოტში, ყვავილთა შორის გაისმა ქნარის ციური ჰანგები, რომელთაც სინარნარით ეწნებოდა ვილაც ჭაბუკის სანეტარო ხმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიყვარული არის ტურფა, საოცდნელად ძნელი გვარი. .

მოისმოდა სავარდედან მგზნებარე ჰანგებად ეს უცნაური სიტყვები, რომლებიც სწვდებოდნენ გულში მსმენელთ.

ეს იყო შოთა, დიდი მგოსანი, რომელიც განშორებოდა სუფრას და იქ ბუჩქებში ყვავილთა შორის უგალობდა ზევსურს დიდებულ გრძნობას...

სიმონ ქვარიანი.

ლაშა გიორგი. თამარ მეფე. დავით ხოხლანი.

ბეთანიის ეკლესიის შიგნით კედელზე ძველი ნახატი.

ფულის ძალა

(ზღაპარი)

ერთხელ ქრისტემ მოისურვა,
რომ გაეცნო ხალხი:
გლეხად იქცა, მოიხვია
თავზე ჩაბალახი;

ხელში ჯოხი დაიკავა,
პირში—ყალიონი,
გზას გაუდგა, რა გამოჩნდა
ცაზე ალიონი.

გლეხს მიადგა,—მეზობელო,
მიქენ საქმე ძმური,
შიმშილისგან სული მძვრება,
მიწყალობე პური.

შენც გლეხი ხარ, მიწის მუშა,
ჩემებრ ჭირ-ნახული,
და მწამს, რომ სხვის გაჭირვებას
იგრძნობს შენი გული.

გლეხმა თავით ფეხებამდე
აათვალიერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემდეგ კი უპასუხა
დამშვიდებით, ნელა:

—პური კი მაქვს, მაგრამ მუქთად
რად დაგითმო, რისთვის?
დღეს ხომ იცი—უფულოდ ხელს
არ ანძრევს ძმა ძმისთვის.

ქრისტეს ღიმი მოერია,
მაგრამ არა სთქვა-რა,
გულნატკენი მოტრიალდა,
ფეხი ააჩქარა.

მღვდელს ეწვია, მოკრძალებით
უთხრა:—მამავ სულის,
ვიცი, რომ შენ არ გექნება
ინტერესი ფულის;

გაჭირვებულს შეეწევი,
ლატაკს შეიცოდებ...
და მეც მიტომ გიახელი,
შენს წინაშე ვგოდებ:

ოჯახობა გადამელო,
განუტევა სული;
მინდა მიწას მივაბარო
ის სულ-ცხონებული.

ქენ სიკეთე, დამიმარხე
ქრისტიანულ წესით.
—მებრალები,—უპასუხა
წუწუნით და კვნესით,

მაგრამ უნდა გითხრა, შვილო:
ეს არ იცი განა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვერ შევ• სამოთხეში
მკვდარი მაგისთანა!?

ჩემი ლოცვა მაშინ გასჭრის,
დასძლევს ცოდვას ავსა,
როცა ცალკე სამარხს მომცემ,
ცალკე საწირავსა.

ქრისტეს ღიმი მოერია,
მაგრამ არა სთქვა-რა;
გულნატკენი მოტრიალდა,
ფეხი ააჩქარა.

ბაზრისაკენ გაეშურა,
აჰყვა ფართლის დუქნებს,
სადაც თავი მოეყარათ
ვაჭრებს, კისერ-მსუქნებს.

—რას ინებებთ?—ჰკითხა ერთმა
მოკრძალებით დიდით
და თან შიგნით შეიწვია
საუბარით ფლიდით.

—საპერანგე ნარმა მინდა
ერთი ექვსი ადლი;
დაიპალი არ შემაღორო,
თუ გრწამს ქრისტეს მადლი.

—ბიჭო, აბა მოიტანე!—
ნოქარს შეუძახა;
თან ანიშნა ჩუმად, თვალით,
სადაც ეწყო გლახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მთლად დუნია მოიარო,—
უთხრა,—ამგვარ ფართალს
ვერსად ნახავ, ვერ იშოვნი,
გკადრებ სიტყვას მართალს.

მოუზომა, ხუთი ადლი
მისცა ნაცვლად ექვსის
და თან, რომ არ შეენიშნა,
მოუყვა მას ეს, ის.

ქრისტეს ლიმი მოერია,
მაგრამ არა სთქვა-რა,
გულნატკენი მოტრიალდა,
ფეხი ააჩქარა.

სასამართლოს მიაშურა,
იმისკენ ქნა პირი
და შესჩივლა მოსამართლეს
თავის გასაჭირი.

მუხლმოდრეკით შეევედრა,
სამართალი სთხოვა.
მაგრამ აქაც მარტოდ მარტო
ფულის ძალა ჰპოვა.

სთქვა:—უგნური ადამის ძე
გადამცდარა გზაზე,
ღმერთად ფული გაუხდია,
სცურავს ცოდვის ზღვაზე!

უძღებ გულში ჩაჯდომია
ბოროტების გველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შხამს ანთხევს—მოუწამლავს
არსებობის ველი!

სთქვა და მყისვე გაჰქრა იგი,
მზის სხივს აჰყვა თანა,
და ფულს დარჩა სათარეშოდ
შემდეგ ეს ქვეყანა.

ვ. რუხაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

შურის ძიება

(ფრანგულით).

ბატარა ქალი სათევზაო ბადეებით თამაშობდა. უცბად კატასავით წამოხტა, გაიქცა ზღვისკენ და დიდი ნავის ძირას, თბილსა და ჩრდილიან ადგილას დასკუპდა. მისი სხეული ნავს მოეფარა, მხოლოდ მისი ლამაზი პატარა ბერძნული სახე მკაფიოდ მოსჩანდა და განირჩეოდა ნავის შავი კიდისაგან. დახვეულ ქერა თმის ქვეშ შუბლი მოელუშა, თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ და პატარა თეთრი კბილები გაცხარებული სიბრაზით კვნეტდნენ წითელ ტუჩებს. ამ ბავშვის სახეზე სიძულვილი და ზიზღი გამოიხატებოდა. ცეცხლივით აღგზნებული თვალები მისჩერებოდნენ ზღვის პირას ნელ-ნელა მოსეირნე ახალგაზდა მეთევზეს. უცებ მეთევზე მოტრიალდა, დაინახა პატარა ქალი, მისი გამომეტყველება, გაიცინა და უთხრა:

— გამარჯობა, სანტუზა, როგორ არის კარლო დღეს დილით?

ბავშვის თვალები, ზიზღის გამომხატველი თვალები უფრო აბრიალდნენ, ათამაშდნენ და მეთევზე რომ ახლოს მისულიყო, ბავშვის კბილების კრაჭუნსაც გაიგონებდა.

მზე აცხუნებდა და სწვავდა აქაურობას. ზღვა ისეთი წყნარი იყო, რომ გეგონებოდათ ღონე არ შესწევს ტალღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი აამოძრაოსო და ნაპირას მხოლოდ თავის თეთრ ქაფს გადმოუშვებდა, რომელიც მაშინათვე შრებოდა.

ნაპირის დაშორებით, სივრცეში მოსჩანდა მწვანით მოსილი მდელო, აყვავებული ხეები, სურნელოვანი ყვავილები და პატარ-პატარა აქა-იქ დაფანტული ქოხები.

ზღვის ნაპირას კი იდგა უზარმაზარი შავად შეღებილი ნავები, თითქოს გასაფრენად მომზადებული ხარაბუზებია და პირველ ნიშანს მოელიანო.

სიცილიის ამ პატარა მიყრუებულ კუთხის მცხოვრებლები თითქმის ველური და ძალიან ღარიბი მეთევზეების ოჯახები იყვნენ.

ის მეთევზე, რომელიც სანტუზას დაელაპარაკა, მივიდა ახლოს მდგომ ნავთან და დათვალიერება დაიწყო, თანაც თავისთვის ლაპარაკობდა, ისე კი, რომ პატარა ქალს გაეგონა. ფრთხილად, ლიზიო, ჩემო კარგო! —ჩურჩულებდა ის.—აქ მოსიარულე პატარა ბავშვებს ბასრი კბილები და ფრჩხილები აქვთ და ძალიან უყვართ კუპრ-წასმულ ხის ღრღნა. ამის შედეგი კი არის ის, რომ გაშლილ ზღვაში ნავში წყალი იწყებს დენას და ნავი იღუპება.

აი, რა უბედურობა შეიძლება მოხდეს. ასე რომ მაგათ შეუძლიათ დაღუპონ ნავი და დააღრჩონ საწყალი ახალგაზდა მეთევზე, რომელსაც არასოდეს ცუდი არაფერი ჩაუდენია თავის სიცოცხლეში.

ამ სიტყვებზე გააჟრჟოლა. უკან მიიხედა. სანტუზა იქვე იდგა და სწორედ ამ დროს წყნარის ხმით ეუბნებოდა:

— ტყუილად ცილს რად მწამებ, ლიზიო, შენ განა არ იცი, რომ მე მაგისთანა რამეს არასოდეს არ ჩავიდენ? მართალია—სულ გითვალთვალებ და ჩემი ხელით მინდა შენი მოკვლა, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც პირისპირ შევხვდებით ერთმანეთს, როგორც ახლა. ჯერ მხოლოდ ვუცდი ღონე მოვემატოს. სავარჯიშოდ ყოველ დღე ხეებს დანას ვესვრი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვეთად: შუა ზღვაში რო მოკვდე, შენ უკანასკნელ წუთებს ვერ დავინახავ და შენი ტანჯვით ვერ დავსტკბები.

ეს რომ სთქვა, ქალი წელში გასწორდა, ღრმად ჩააცქერდა თვალებში ლიზიოს, პასუხად ლანძღვას ელოდა. მაგრამ ლიზიომ არა სთქვა რა.

მაშინ ქალმა ზიზღით შეიშმუშნა მხრები და მწვანე მდელოსაკენ გაეშურა.

გაფითრებული ლიზიო სანტუზას თვალს ადევნებდა.

თხუთმეტი წლის სანტუზას წვრილი ტანის ნაკვთი სულ პატარად მოსჩანდა და მისი მშვენიერი ნაზი მიხვრა-მოხვრა მის სხეულის სინარნარეს სახავდა. ეს ქალი ყაჩაღის შვილი იყო. დედა მისი ფორთოხლებს ჰყიდდა ნეაპოლში; ცოლქმარნი უეცრად, ღმერთმა იცის საიდან და რანაირად, გაჩნდნენ ამ კუთხეში. ორი შვილი გაუჩნდათ: ვაჟი კარლო და შვიდი წლის შემდეგ სანტუზა. ამ მხარეში შავი ყვავილი გავრცელდა, შეეყარა დედას და გარდაიცვალა. მამაც მალე გაჰყვა მას ცივ სამარეში. იმ დღეს თვრამეტი ცხედარი მოასვენეს კამპო-სანტოს პატარა სასაფლაოზე. საწყალი ბავშვები დარჩნენ ობლად. ერთი თხუტმეტი წლის იყო, მეორე რვისა. ვაჟმა მალე გაიჩინა სამუშაო, მამის ნავით სათევზაოდ დადიოდა. ქალმა კიდევ ბადეების დაკერება და სადილის მომზადება ისწავლა. მაგრამ ამ ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა.

ერთ დღეს კარლო და ლიზიო უმნიშვნელო რამეზე წაიჩხუბნენ, ჩაავლეს ერთმანეთს ხელი და დაეტაკნენ; თუმცა ორივენი ერთნაირი ღონისანი იყვნენ, მაგრამ კარლო უცაბედად გადავარდა და ზურგით გემს დაეჯახა. გაისმა მისი ძვლების ჭახა-ჭუხი; თეძოები მთლად ჩაემტვრა!

ამის შემდეგ კარლოს მამის ძველი ნავი სათევზაოდ აღარ წასულა. მალე ოთხი წელიწადი უნდა შესრულებულიყო, რაც ზღვის ლურჯი წყალი არ გაეპო და, მუდამ ერთ ადგილას გაჩერებული, ნელ-ნელა მიწაში იფლებოდა. წვიმისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზისაგან მთლად დამსკდარიყო, სევდის მომგვრელ ნანგრევად ბედნიერების ნაშთად-ღა გადაქცეულიყო.

აგერ ოთხი წელიწადი შესრულდა, რაც საცოდავი, დავრდომილი არსება ეგდო საბრალო ქოხში და მხოლოდ ხანდისხან გამოხოხდებოდა კარებთან მზის სანახავად და ჰაერის ჩასაყლაპავად, უფრო მტრის თვალის სადევნელად, რომ ერთი კიდევ გაელანძღნა და ამითი მაინც გული დაემშვიდებინა.

ხშირად საბრალო კარლო თავით,—ხელებზე დაყრდნობილი, გამწარებული ჰკვნესოდა. სტიროდა ფუჭად ჩავლილ ახალგაზდობას, დაკარგულ ძალას, სიღარიბეს და ობლობას; ხშირად გულ-გაცეცხლებული მივარდებოდა ის დას, მძლავრად მოუჭერდა ხელზე ხელებს და თითქოს თანდაყოლილ ყაჩაღური სულის კვეთებით უმეორებდა:

— შური იძიე, დაიკო! ფიცი მომეცი, რომ ჩემ ჯავრს შენ ამოიყრი!...

დაც ფიცს აძლევდა, თან პირი ეკუმებოდა და თვალწინ წითლად აფერადებული მოჩვენებანი ეხატებოდა.

ლიზიომ პირველად ბევრი ინანა, როცა საბრალო კარლო გადაჩეხა, მაგრამ როცა დაინახა და-ძმის ამისთანა ზიზღი მისდამი, თვითონაც შესძულდა ისინი და უსაზღვრო სიამოვნებასა გრძნობდა, როცა პატარა ქალს აბრაზებდა; მაშინ წითლდებოდა ლიზიოც და თვითონაც ლანძღავდა იმათ. მაგრამ ამ დილით, როდესაც სანტუზა გაბრუნდა სახლში, დაფლეთილ ძონძებში გახვეული, ლიზიოს რაღაცა სინანული დააწვა გულზე და ჩაფიქრდა.

სანტუზა კი აქა-იქ ლიმონის ხეების ქვეშ დაეხეტებოდა. მარტოობით სარგებლობდა და თავისუფლად აფრქვევდა ცრემლებს. ისეთი ამაყი ხასიათისა იყო, რომ თავის მწუხარების გამჟღავნებას სიკვდილს არჩევდა, ტიროდა და თან მწიფე ლიმონებს აგროვებდა წითელ თავსაფარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მორჩა საქმეს, შეჰკრა თავსაფარი და მონასტრის გზას გაუდგა, სადაც ჰფიქრობდა ლიმონების გაყიდვას.

კალიები ხმაურობდნენ და ცხელი ჰაერი ფიჭვნარის სურნელებით იყო გაჟღენთილი. უცებ, მოულოდნელად ბილიკის შესახვევში კინალამ დაეჯახა ვიღაც პირდაპირ მომავალს. შეშფოთებულმა უკან დაიხია: კიდევ ლიზიო!

იმას კი ლიზიო ზღვის ნაპირას ეგულებოდა.

რისთვის დაეხეტებოდა ამ გზაზე? რა უნდოდა? ნუ თუ კიდევ ეტყვის რამეს და შეურაცყოფას მიაყენებს?...

უბედურობას ზედ ისიც დაერთო, რომ ამ დროს თავსაფარი გაიხა, ლიმონები გამოცვივდა და დაიფანტა! ცრემლმორეულმა სანტუზამ თავის მოსისხლე მტერს ზიზღით გადახედა, ეგონა ლიზიო დასცინოდა, მაგრამ ძალიან გაჰკვირდა, როცა ჩაფიქრებული დაინახა.

ლიზიო უცებ დაიღუნა, აჰკრიფა ლიმონები, მტვერი მოსწმინდა და ისევ თავსაფარში ჩაუწყო. სანტუზას ეგონა, რომ ეს საზიზღარი ადამიანი ლიმონებს მოსტაცებდა, სიცილ-ხარხარით გაიქცეოდა და ზღვაში გადაყრიდა. მაგრამ არა!.. ლიზიომ შეჰკრა ბოლჩა და უხმოდ მიაწოდა სანტუზას... შერცხვენილმა, გაბრაზებულმა კარლოს დამ წაავლო თავშალს ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ძირს დაანარცხა.

მოთმინება-დაკარგულმა სულ ფეხ ქვეშ გასთელა, დასრისა და დასჭყლიტა ხილი. ლიმონის სუნი ჰაერს მოედვა, სანტუზა კი გაშმაგებული სლოკინით ჰყვიროდა:

— მძულხარ! მძაგხარ! ნამეტნავად მაშინ, როცა კარგად მეპყრობი!

როდესაც ხილის ადგილას მხოლოდ სველი მიწა-ღა დარჩა, სანტუზა დაეცა ძირს და განაგრძო ქვითინი. ამ დროს მას თავის თავი და ქვეყნიერებაც ეზიზღებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზიო კი შორდებოდა მას თავჩაღუნული და თან სწყევლიდა ადამიანთა შორის უთანხმოებას, სიძულვილს და ლიმონებსაც.

სამი წლის შემდეგ შავებით ჩაცმული, გაფითრებული სანტუზა კამპო-სანტოდან ბრუნდებოდა. კარლოს ტანჯვას ბოლო მოეღო. ახლა სამუდამო ძილით ეძინა ტირიფის ჩრდილ ქვეშ. სიკვდილის მოახლოებამ მისი სული დაამშვიდა. როდესაც მღვდელი კარლოს გვერდით ლოცულობდა და აღსარებას იბარებდა, მომაკვდავი, ძალზე მისუსტებული კარლო მისჩერებოდა თავის დას, რომელსაც ვერ გაეგო, რის თქმა უნდოდა საბრალოს. უკანასკნელ ამოოხვრის ჟამს გაფითრებული ტუჩები კიდევ უფრო აუცახცახდა, სანტუზა დაიღუნა და გაიგო მისუსტებული ჩურჩული:

— აპატიე!...

სანტუზა მაშინათვე გაიმართა წელში, თვალებმა გაუელვა, შუბლი შეეკრა და ისეთივე სახე მიიღო როგორიც მაშინ, როცა ნავთან იჯდა და ნაპირებზე მიმავალ ლიზიოს უყურებდა.

— რას ამბობს?—იკითხა მღვდელმა.

— ვერ გავიგე...—წაიჩურჩულა ქალმა, რომ ძმას არ გაეგონა მისი პასუხი და დამშვიდებულად მომკვდარიყო.

ახლა კი ყველაფერი გათავდა.

გაშეშებული, მთლად გაყვითლებული, შავ კაბაში გამოწყობილი ახალგაზდა ქალი ძველ ნავს უბრუნდებოდა, რომ იქ მაინც ეპოვა თავშესაფარი და ნუგეში, ეტირნა თავისუფლად მიყუჩებულ ზღვის სივრცეზე.

ჰაერი მძიმედ აწვებოდა ზღვას და დედამიწას. ტალღებს უცნაური მოყვითალო ფერი ედო, თითქოს ძირი ამღვრეოდათ. არც ერთი ჩიტის ჭიკჭიკი ტყიდან, არც ერთი ადამიანის ხმა ზღვის ნაპირას არ ისმოდა. შორს, შორს, ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გულსაკლავად ღმუოდა, და ქარს კი ნელ-ნელა შავ-შავი ღრუბლები მოჰქონდა.

ამ დროს ქალის სულიც უერთდებოდა ბუნების სევდას. თვალებში ცრემლები მოერია, გაშეშებული სახე მოეშვა, და დაძველებულ ნავის დამპალ ფიცრებს დაეპკურა სანტუზას თვალებიდან გადმონადენი ცხელი ცრემლის წვიმა. უცებ ვიღაცამ დაუძახა; ეს ხმა იყო მორჩილი, წყნარი და ნაზი, თითქოს რაღასაც ემუდარებაო.

— სანტუზა! სანტუზა!... მაპატიეთ!...

გაწითლებული სანტუზა მოტრიალდა:

— ორჯერ მომასწარ მტირალს, ლიზიო! და ორჯერვე შენი მიზეზით ვტიროდი. უფრთხილდი შენს თავს! მესამე ჩვენი შეხვედრა უკანასკნელი იქნება!..

ესა სთქვა, ხელი მოიქნია და ისე სწრაფად გაბრუნდა, რომ ვერც კი დაინახა ლიზიოს გაყვითლებული სახე და ვერ შეამჩნია, რომ ლიზიო სტიროდა.

იმ საღამოს მთელ მხარეში საშინელი წვიმა წამოვიდა; შეშინებული მეთევზეები პირჯვარს იწერდნენ და ღვთისმშობლის წინ სანთლებს ანთებდნენ.

დაღამდა! ცა ნაპერწკლებს ისროდა, აღელვებული ზღვა ნაპირებს ეხეთქებოდა და ნავების ნამსხვრევები ლიმონის ტყემდის მიჰქონდა. შუა ღამისას ქარტეხილმა უმატა. მიწიდან ამომხდარი გრგვინვა უერთდებოდა ცის ჭექა-ხუხილს და ოთხივე ძალის ქაოსში დედა-მიწა ირყეოდა, როგორც აბობოქრებულ ზღვისაგან ათამაშებული გემი. უფსკრული იხსნებოდა, სახლები ინგრეოდა, და ცეცხლით დასერილ ცას შეძრწუნებულ ადამიანთა მწარე ვედრება სწვდებოდა.

ამ გულშემზარავ და სასოწარკვეთილების მომგვრელ მოვლენას ბრწყინვალე რიჟრაჟი მოჰყვა. ლურჯ ზღვას დილის მზე ოქროს სხივებს აფრქვევდა. ყველაფერი ბუნების კანონს დაემორჩილა და ხელახლად გამოცოცხლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამონგრეულ სახლების გარშემო გადარჩენილი დამო-
ნები მგმინავი აჩრდილებივით ამოძრავდნენ, ხელებს იმტვრევ-
დნენ, თითებს იკვნეტდნენ და თან მოუწოდებდნენ საყვარელ
არსებათ, რომელთა ხმები ისმოდა ნანგრევებ ქვეშ. უნებლიედ
გადარჩენილი სანტუზაც იქვე იდგა. იგი არ სტიროდა, არც
არავის ეძახდა და ხმას არ იღებდა. ერთად ერთი მისი საყვა-
რელი არსება წინა დღით დამარხა და აღარ იტანჯებოდა.

მაშ რისთვის დგას ეს ქალი გაფითრებული, რატომ გა-
მოიყურება გამოურკვეველ მწუხარებით და მოუსვენრობით?!.
ვის ეკუთვნის ეს საბრალო ქოხი, რომელიც ახლა ნანგრე-
ვების გროვას-ღა წარმოადგენს და რომლის გარშემოც ტრია-
ლებს, თითქოს მოშორება ეძნელებაო?

უცებ მიიწევს წინ და თავის სუსტი ხელებით იწყებს
მძიმე ლოდების, ნამსხვრევ ხეების, გატეხილ რკინების გადა-
წევ-გადმოწევას. თითებიდან სისხლი სდის, მაგრამ მაინც არ
ჩერდება.

ხომ არ ეშინია, რომ შურისძიებას ველარ მოახერხებს?..
იქნება სურს ლიზიო სულთმობრძავი ნახოს, იქმნება ამის
სიკვდილს ეძებს ამ ნანგრევებში ველური სიჯიუტით!... რო-
გორ ჩქარობს! რასაც კი ხელს ახლებს, წითლად ჰლებავს.
თმა გაწეწილი, მტვრიანი, გაშმაგებული მუშაობს ნანგრევებ-
ში! ოჰ! რა ძნელი მუშაობაა!.. და რამდენხანს გრძელდება!..
აგერ მზეც კარგა მაღლა ამოვიდა, სიცხემ მოუჭირა, ქალის
შუბლს წვეთ-წვეთად ოფლი მოადგა; ხანდახან წელში იმარ-
თება და ოფლს იწმენდავს. დაღუნული წელი ასტკივდა, სი-
სხლი თავში აუვარდა, ყურებმა ჟრიალი დაუწყეს, მაგრამ ის
მაინც განაგრძობს ნანგრევებში ჩხრეკას... და უცებ... ორ
ლოდს შუა გამოჩნდა ხელი... კაცის ხელი, რომელიც საბ-
რალოდ ფათურობს, თითქოს ვიღაცას ეძახისო. საშინელი და
სამწუხარო სანახავია ეს გალურჯებული და დასიებული თი-
თები, ვინ იცის, რანაირად იტანჯება მისი პატრონი?... სან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუზას თითქოს მოთმინება დაეკარგა, ძალი და ლონე მოეტეტა: სწრაფად გასწი-გამოსწია, რაც კი ზეიდან იყო დაყრილი...

გამოჩნდა ფეხები, შემდეგ გული, რომელიც თითქოს სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად გაგანიერდა, ბოლოს,—გასისხლიანებული, მაგრამ დაუზიანებელი სახე... ლიზიოს სახე. საფლავიდან განთავისუფლებულ, ცხოველმყოფელ მზის სინათლის დანახვით გაბრუებულ ლიზიოს თვალები დახუჭული აქვს, ნელ-ნელა იზმორება, ისრესს დაბუჟებულ სხეულს. შუბლიდან სისხლი გადმოსჩქეფს... მაგრამ საშიში არ არის...

აი, როგორც იქმნა, მილულული თვალები გაახილა, მზის სხივებისაგან გამთბარი, თავს უკეთესად ჰგრძნობს და გონზე მოდის.

— შენ! შენ!—შეჰყვირა შეშინებულმა, როდესაც სანტუზას სერიოზული სახე დაინახა.

ძლივს სიკვდილს გადარჩენილი თავის მოსისხლე მტერს ჰხედავს. უთუოდ იმისთვის გაანთავისუფლა ქალმა, რომ უფრო აგრძნობინოს სიცოცხლის ფასი, რადგანაც მალე ისევე წაართმევს. აგერ სანტუზა სდგას მის წინ მზის გულზე და ადვილად შესძლებს ახლა შურისძიებას...

მაგრამ ნანგრევებიდან გადარჩენილ ლიზიოს მკვდრულ სახის წინ კარლოს და შეჰკრთა... აგონდება ძმის უკანასკნელი სიტყვა—აპატიე... აპატიეო!...

დაჭრილისაკენ იღუნება, თავს უხვევს და ჩუმად ჩურჩულებს.

— მე გადაგარჩინე სიკვდილს, ლიზიო, მიპატიებია... იმანაც გაპატია სიკვდილის წინ...

აღელვებული სანტუზა ჩუმად ქვითინებს და ცრემლებთან ერთად ჰქრება მისი სიძულვილიც.

ამას ჰგრძნობენ ორივენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გახსოვს ის დღე, ლიმონები რომ ამიკრიფეს ... ნია, რომ იმ დღიდან აღარ მძულდი, გახსოვს?...

— ვიცი,—უპასუხა ლიზიომ, და ოდნავ წამოიწია ნანგრევებიდან, მაგრამ... სანტუზა... აგერ მესამედ სტირი ჩემი მიზეზით... და ეს უკანასკნელი იქნება, არა?...

როდესაც დამხმარე ხალხი მოვიდა მახლობელ სოფლებიდან, დაინახეს ეს ორი ახალგაზრდა: ისინი იჯდნენ ნანგრევებზე და მეგობრულად ბაასობდნენ. ლურჯი მოწმენდილი ცაც თითქოს უღიმოდა და ისიც პატიებას უთვლიდა ლიზიოს.

მედეა დამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი წამი

(ვუძღვნი ი. ედოშვილს)

ა.

ზოვრების ტალღამ შემომკრა,
ამიტივტივა ეული;
შორს გამისროლა უცხოეთს,
სამშობლოს შემოჩვეული;
უკან გამომყვა ჩხავილით
შავი ყორანი წყეული...

თვალებზე ცრემლი მდიოდა,
მეტანჯებოდა გული;
მარტოდ შთენილი, ობოლი
მწარედ შფოთავდა სული.
უწინდელ წყლულზე ერთადა
ახალ-ახალი წყლულია;
სამუდმოდ მეფერფლებოდა
სიამე, სიხარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად დავუძლურდი... ყორანი
კვლავ თავზე დამტრიალებდა;
ჩემს ლეშის დასაკორტნავად
თვალებსაც აბრიალებდა;
ადრევე გახარებული,
ხმას მძლავრად ახრიალებდა
და გამარჯვების ალამსა
ჰაერში აფრიალებდა.

გარედ კი, ფანჯრით ვხედავდი, —
ბუნება ფერადდებოდა;
ჭალარა-შერთულ ზამთარსა
უძლური სული ხდებოდა;
ცაში სცურავდა მერცხალი,
ღრუბლით ღრუბელზე ხტებოდა;
ბალში კი სტვენდა ბულბული,
ვარდის ბუჩქებში ჯდებოდა...
ამის მნახველი ეს გული
მწარედ ჰკვნესოდა, კვდებოდა.

ბ.

მაწვიეს ჩემსა სამშობლოს,
ჩემს ტურფა მინდორ-ხევებსა;
ტანჯული, გაფითრებული
ველარა ვძრავდი ხელებსა.
ჭალარაც გამოჭრეოდა
ჩემს ულვაშსა და წვერებსა;
დამინახეს და შეშინდნენ,
გული მოუკვდათ ჩვენებსა.

წამოვიწიე ლოგინით:
მსურდა გამევლო ველზედა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროსთვინ ყური დამეგდო,
რომ ჩქრიალებდა კლდეზედა,
სუფთა ჰაერი მესუნთქა
ქოჩორ აყრილსა მთებზედა;
ძველებრივ გამენავარდა
სამშობლოს ტურფა მკერდზედა...
მაგრამ... იქავე დავეშვი
ახლა მეორე გვერდზედა.

განვლო ჟამმა და ტანჯულმა
ნელა დახუჭა თვალები;
ქვეყანას გამოეთხოვა,
გულზე დაეწყვნენ მკლავები!..

დ. ელიოზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიხვი და შურთხი*)

(ზოოლოგიური მიმოხილვა)



ერივე ეს ცხოველი ერთნაირად უყვართ მთა ადგილებში მცხოვრებთ. ამ ცხოველების მომხიბლავი სილამაზე, სიმარდე, მიუდგომელ მთა-კლდეებში ცხოვრება და იშვიათი მათი დანახვა—რაღაც მოწიწებას, ღვთიურ პატივისცემას ჰბადებს მთიელის გულში. სვანების აზრით ყოველი კარგი და ლამაზი არსება ღმერთსაც ისე მომეტებულად უყვარს, როგორც კაცსა; თავის საყვარელ არსებას იგი რაც შეიძლება ადამიანს აშორებს და თავისთან იახლოვებს. ასეთი თვალით უყურებს ღმერთი ჯიხვ-

*) ივერია № 84, 1887.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და შურთხსაც, რომელთაგან პირველი გარეულ-ლეგ-ფეხის გვირგვინია და მეორე—ფრინველებისა. ცაზე მყოფი ღმერთი განგებ აძლევს მათ ბინას თავის ახლო მაღალი მთების მწვერვალებზე, მიუდგომელ მაღალ კლდეებში, რომ დრო-გამოშვებით ინახულოს და ისიამოვნოს თავის ქმნილებათა სიმშვენიერით.

მამალ ჯიხვს სვანები ეძახიან „კვიცრა“-ს, „ღვაშ“-ს და „ვან“-ს (ხარი). შუათანა ჯიხვს, ესე იგი ახალგაზდას,—„მუღვშირ“-ს, ერთი წლის თიკანს—„ფოთრ“-ს; დედალ ჯიხვს—„დი-კვიცრა“ ან „დაკულ კვიცრა“-ს. ტანით მამალი ჯიხვი ორი წლის მოზვერს არ ჩამოუვარდება. რქებიან-ტყავიანად სრული ჯიხვი 7—8 ფუთზე მეტი გამოვა. ასე ვფიქრობ, რადგან დამთავრებულ ჯიხვს ხუთი ღონიერი კაცი უნდება, რომ თანასწორად დაყოფილი ერთი დღის სავალიდან სახლში მოიტანონ, თუმცა სვანები ტვირთვის ზიდვას კარგად არიან შეჩვეულნი. ჯიხვი ტანის სიგრძით უფრო მეტია, ვიდრე სიმსხოთი; ჯიხვს შინაურ თხასავით აქვს წვერი და კუდი, ორივე მოკლე; ყურები თავთან შედარებით პატარა აქვს, თვალები მოდიდო, პირი მოგრძო. თავზე აქვს უკან გადაყრილი ორი რქა. რქების სიგრძე ოთხ-ნახევარ მტკაველს არ აღემატება. შესანიშნავია, რომ ჯიხვის რქების სიმსხო-სიგრძე სვანეთის სხვა-და-სხვა ადგილას განსხვავებულია; მაგალითად, უშკულის საზოგადოების სანადიროებში ჯიხვს მომეტებული გრძელი რქები აქვს; იფარას და გულახის სანადიროებში კი—მსხვილი და მოკლე. კისერი და მკერდი ჯიხვისგამბედაობის გამომხატველია; ჩლიქები გაყოფილი აქვს და რბილი, როგორც ცცვილი. ამგვარი სირბილე ჩლიქებისა ძლიერ უწყობს ხელს ჯიხვს კლდეებში სიარულის დროს. ბალანი აყრია მოკლე, მსხვილი და ხშირი. წელიწადში ოთხჯერ იცვლის ბალანს. გაზაფხულზე ბალანი ჩალისფერისაა, ზაფხულში წაბლის ფერი გადაჰკრავს, შემოდგომაზე შავი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოერევა და ზამთრობით წმინდა რუხვისფერია. სიგემრელით ჯიხვის ხორცს ვერა ცხოველის ხორცი ვერ შეედრება. ჯიხვმა ძალიან გასუქება იცის. მონადირეების სიტყვით, მსუქანი ჯიხვის პოხილი ერთს ფუთ აიწონს და ფერდის ძვლებზე სამი-ოთხი თითის დადება ქონი აქვს ხოლმე სისქითაო.

საცხოვრებლად ჯიხვს მიუდგომელი მთა-კლდეები უყვარს. გასაოცარი მარდი და ხერხიანი მოსიარულეა კლდეებში! იქ, სადაც არაფერ სულდგმულს ფეხის მოკიდება არ შეუძლია, ჯიხვი არხეინად დაიარება. ერთი კლდის წვერიდან მეორეზე გადახტომა; წვეტიანი კლდის ნაპრალის თავზე ოთხივე ფეხებით დასკუპება—ჩვეულებრივი და ადვილი საქმეა ჯიხვისათვის. მონადირეებს შენიშნული აქვთ, რომ ჯიხვი სიარულის დროს, თუ გაუჭირდა, რქებსაც ხმარობს. ვსთქვათ, მაგალითად, ჯიხვი მოხვდა იმგვარ მაღალ კლდეზე, საიდანაც არც წინ, არც უკან და არც ქვევით ფეხის გადადგმა აღარ შეიძლება. და აი ზემოდ კი ჰხედავს კლდის თაროს, შეჭრილს, რომელზედაც ჰსურს ახტეს, რადგან სხვა გზა არსაით დარჩენია, მაგრამ რომ შეჰხედო, იტყვი—აქ შეხტომა შეუძლებელიაო; შეუძლებელია იმიტომ, რომ წინა ფეხებით თაროს ნაპირს ვერ შესწვდება. ერთი ეს და მეორეც ისა, რომ თუ პირი იბრუნა შეხტომის დროს კლდისაკენ და უკანა ფეხებზე დადგა, მაშინვე გადატრიალდება, 100—150 საჟენის სიმაღლედან ძირს ჩამოვარდება და სრულებით დაიმსხვრევა. ამგვარ გაჭირებაში თავს იხსნის ჯიხვი რქების შემწეობით; ტანის მოუბრუნებლად უკანა ფეხებზე აიწევს, უცებ შემოჰკრავს რქის წვერებს კლდის თაროს განაპირს, შემდეგ,—რაც ძალა და ღონე აქვს—რქის წვერებზე ჩამოკიდებული ჯიხვი ტანის უკანა ნაწილს აიგდებს და კლდის თაროში ავარდება. აქ ჯიხვი დამშვიდებულია; მონადირის შიში არა აქვს, რადგან თოფის სასროლად ახლოს ვერ მიეკარება და კიდეც რომ მიეკაროს,—მოარტყას თოფი, მონადირისათვის ჯიხვი მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგულია, რადგან აქვე მოკვდება და ამის ხორცით მარ-
ტო არწივები დახემსდებიან.

ჯიხვი ლონიერია; მარტო თავში და გულ-ღვიძლში მო-
ხვედრილი ტყვია ჰკლავს; სხვა ადგილას დაჭრილ ჯიხვს მეო-
რედ—მესამედ კიდევ უნდა მოარტყან ტყვია, რომ მოკლან
(ჩვენ ვამბობთ სვანურ კაჟიან თოფზე და არა ახალი სისტე-
მის თოფებზე, როგორც, მაგალითად, პიბოდე, ბერდანკა).
მძიმედ დაჭრილ ჯიხვს ძლივს იკავებს ორი ლონიერი ძაღლი.
ჯიხვი სჭამს წვრილ ბალახს, რომელიც ხარობს ახლად აღე-
ბული თოვლის ნადებ ადგილებზე, ხავსს, სხვა-და-სხვა ხის
ფოთლებს და კვირტებს. ზამთრობით ჯიხვი კლდის თაროებ-
შია დამწყვდეული. მონადირეებმა დამარწმუნეს, ვითომ ამ-
გვარ თაროებში შურთხი ზაფხულ-შემოდგომობით ბალახს
ინახავს ჯიხვის გამოსაკვებად; თვით შურთხი კი ჯიხვის გა-
ნავალსა სჭამს და ამნაირად ირჩენენ თავს ორივენი. დამტკი-
ცებულია, რომ ჯიხვები დიდ შიმშილის დროს ერთი-მეორის
ბალანსა სჭამენ; ამას ცხადად გვიმტკიცებს გაზაფხულზე მო-
კლული ჯიხვი. ამ ჯიხვს რომ კუჭი გაუსინჯოთ, ჰნახავთ
ბალანს, ბურთის მზგავსად დარგვალებულს.

დღე ჯიხვი კლდის თაროებშია და იცოხნება. საჭმელ-
ზე გამოდის ალიონზე და დღე-და-ღამის გაყრაზე საღამოს.
კლდის თაროდან გამოსული ჯიხვი ჩაჰყვება სერს, ხევს, გზა-
და-გზა სჭამს ძლიერ ჩქარა და მადიანად. ხევის ძირს თუ მლა-
შე წყალი ეგულება, მივა იქ, დაეწაფება და ისევ უკან და-
ბრუნდება თაროში ნელა-ნელა, მუცელ-გამოვსებული საჭმელ-
სასმელითა. შევა თაროში და არის იქ გაჩერებული საღა-
მომდე. საღამოს ისევ გამოვა საჭმელზე, როგორც დილას,
და ასე ყოველ ცისმარე დღეს. მონადირეებმა ეს ჩვეულება
ჯიხვისა იციან და ამიტომაც დილა-საღამოს უდარაჯებენ ან
მლაშე წყალზე, ან სავლელ გზაზე და ჰხოცვენ. ჯიხვებს
ჯოგ-ჯოგადაც უყვართ ცხოვრება, თუმცა მათი ჯოგი ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი კი არაოდეს იქნება, როგორც არჩევებისა. მონადირეების სიტყვით, ჯიხვის ჯოგი ასამდე იშვიათად ავა. ჩვენ რამდენჯერმე გვინახავს ჯიხვების ჯოგი და უნდა მოგახსენოთ, რომ უკეთესი სანახავი არა იქნება-რა. ტყუილად კი არ ამბობენ სვანები, რომ ჯიხვების ჯოგის შეხედვით ღმერთიც კი სიამოვნებას გრძნობსო. მონადირეებს შეუმჩნევიათ, რომ თუ ჯიხვები ერთად ათზე ნაკლები არ არიან, მაშინ ამათ უთუოდ ჰყავთ მიჩენილი ერთი ჯიხვი ყარაულად. ეს ყარაული იმ დროს, როდესაც სხვები დამშვიდებული შეექცევიან ჭამასა— არცა სჭამს, არცა სვამს, მხოლოდ გაშმაგებულივით ერთი სერიდან, ან გორიდან მეორეზე გადარბის, გადახტის და თვალყურს ადევნებს იმ ადგილის გარშემო, სადაც ჯიხვები არიან, რომ ხიფათი არაფერი მოუვიდეთ, მონადირე არსაით მიეპაროს და მისმა ცხელმა ტყვიამ რომელიმე ამის მოძმე არ გააციოს. ყარაულმა ჯიხვმა თუ რამე საფრთხე შენიშნა, მაშინვე შეატყობინებს ჯოგს და ყველანი გაჰქრებიან საშიშარ ადგილიდან. შეშინებული ჯიხვის ჯოგი ძლიერ შორს გასწევს ხოლმე. მონადირე ყველაზე უფრო იმას სცდილობს, რომ ეს ყარაული როგორმე მოჰკლას, რადგანაც მერმე ჯოგს გზა და კვალი ებნევა, იფანტება და მონადირეს შეუძლია ჯოგიდანაც კიდევ დაინარჩუნოს რამდენიმე ჯიხვი. მე თვითონ ჩემ თავს არ ვუჯერებდი, როცა ამას ჩემის თვალითა ვხედავდი, და როცა ერთხელ დაშინებული ჯიხვები გაუვალ კლდეს სეტყვასავით მისცვივდნენ: ზორბა ტანისა და მარდი ცხოველები, არშინიანი, უკან გადაყრილი რქების პატრონები ისე დახტოდნენ კლდის ნაპრალებში, თითქო ქაჯები არიანო. დღესაც მოჩვენება მგონია ეს სურათი!

ჯიხვი ფრთხილია და ამიტომ მონადირეს დიდი ხერხი და გამოცდილება უნდა ჰქონდეს, რომ ჯიხვმა სათოფედ მიიკაროს. მონადირეებმა გამოცდილებით იციან, რომ ჯიხვი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის ნიავს იკრავს და ამისათვის იმ მხრიდან, საიდანაც ქარი ჰქრის, არაოდეს არ მიეპარება ჯიხვს, თორემ უთუოდ ალლოს აიღებსო. ჯიხვებს ჰხოცავენ საზოგადოდ ყოველთვის, მთელი წლის განმავლობაში, ყველაზე მომეტებულად კი შემოდგომაზე. ზამთარში, როდესაც დიდი თოვლი მოვა, მონადირეები გაუძღვებიან ხალხს ჯიხვებზე სანადიროდ. მონადირეები კლდეში მიმდგარ ჯიხვებს გამოჰყრიან, ხალხი ქვეით უცდის ხევში. ჯიხვი თოვლში იფლება, ალმართზე ვერ ადის, მარტო დალმართში ეშვება. მანამ შეუძლია, ხტის, ბოლოს იღლება და რჩება თოვლში. ამ დროს მიდიან ძაღლებით და ხშირად თოფ-უკრავად იჭერენ ჯიხვებსა. ამგვარი საჯიხვე ადგილები ყოველ საზოგადოებას არა აქვს.

დედალ ჯიხვს ტანიცა და რქებიც უფრო პატარა აქვს, ვიდრე მამალ ჯიხვსა. ბოტობას ჯიხვები იწყებენ ნოემბერში, თიკნები ეყოლებათ ხოლმე ივნისში. მომეტებულ ნაწილად ჯიხვს ერთი თიკანი ეყოლება ხოლმე, იშვიათად — ორი, სამი კი არაოდესო, დამარწმუნეს მონადირეებმა. ჯიხვების ტყავებიდან მონადირეები ქურქებს იკერავენ ზამთრისათვის. თითო ჯიხვის ქურქი ფასობს 4—5 მანათად.

სამწუხაროდ ჯიხვი თან-და-თან ცოტავდება. სვანეთის მონადირეები რაღაც ღვთის-წყრომას აბრალებენ, რომ უწინდებურად ჯიხვის დიდ ჯოგებს ვერ პოულობენ ახლა; მიზეზი-კი ჯიხვების შემცირებისა ცხადია: მუდამ-წელს ხოცვენ ბლომად, ხოცვენ გაურჩევლად დედალ-მამალსა, მაკეს და თიკნებსა და, უეჭველია, შემცირდება მათი რიცხვი, მაშ რა მოუვათ.

ჩვენ ვიცით, რომ უშკულის საზოგადოებაში, სადაც ყველაზე მომეტებულ ჯიხვებს ხოცვენ, 1882 წელში მონადირეებს მოეკლათ 27 ჯიხვი. ენგურის ხეობაში 11 უშკულისთანა საზოგადოებაა და ცხენის წყლისაში — 3. ერთთავად თვითოეულ საზოგადოებაში ენგურის ხეობაში 15 მოკ-

ლული ჯიხვი რომ ჩავაგდოთ დაცხენის წყალის საზოგადოებაში... ათ-ათი წელიწადში, დავინახავთ, რომ მარტო სვანეთში ყოველ წელიწადს იხოცება ორას თვრამეტი ჯიხვი. ახლა ავიღოთ ზემო რაჭის სოფლები (ღები, გლოლა, ჭიორა) და ჩრდილოეთის კავკასიის დიდ ქედთან მდებარე საზოგადოებანი—ყარაჩა, ბახსანი, ჟეგემი და სხვა, რომელთაც სვანებზე ნაკლებ არ უყვართ ჯიხვის ხორცი, დაახლოვებით ვიანგარიშოთ მათ მიერ მოკლული ჯიხვების რიცხვი, და მაშინ დავინახავთ, რომ სვანეთის სიგრძეზე, კავკასიის დიდ ქედის ორთავე ფერდობებზე და მის შტოებზე წელიწადში უნდა იხოცებოდეს არა ნაკლებ 300-ი ჯიხვისა. ეს რიცხვი ჩვენ ძლიერ ნაკლები გვგონია და არა მეტის-მეტი. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მრავალი ჯიხვი ფუჭდება კლდეზე გადავარდნით და შვავისაგან.*) სვანეთის მონადირეები ხშირად პოულობენ ნაშვავებში შიგ გახვეულ დიდრქიან ჯიხვსა.

ფრინველებში სვანებს ძრიელ უყვართ შურთხი, რომელსაც სვანები სამ სახელს უწოდებენ,—თავისუფალ და სადადიანო სვანეთში „კოჯა ქათალ“ (კლდის ქათამი) და „მუყელ“ (მყივანა), საბატონო სვანეთში კი—„ჟვან“ (?). ამ ფრინველის საცხოვრებელი ადგილი მიუვალი და თვალაუწვდენელი კლდეებია, სადაც ფეხმარდი ჯიხვიც კი ვერ მიუდგება. ამ მიზეზის გამო შურთხს მონადირეები იშვიათად ხოცვენ. ჩვენ არ ვიცით, კავკასიის მთებში ეს მშვენიერი ფრინველი ყველგან არის თუ არა; ვიცით კი მხოლოდ, რომ ზემო-რაჭას, სოფ. ურავისა და ლიხეთის მთებში არის და აქ ამას ეძახიან „ჯიხვის ინდოურს“. ესევე ფრინველი უნახავს ბ-ნ გ. ყაზბეგს აჭარას, ხირხათის მთაზე**).

---

*) შვავი—თოვლის მეწყერი, ზვავია.

**) სამი თვე ოსმალეთის საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურთხი ტანად შინაურ ქათამზე უდიდესია, ფერად მამალი რუხ-მოთეთროა; დედალი ქვიშარია, ე. ი. მოთეთრო ქვიშის ფერი. მუცელსა და მოკლე კუდ ქვეშ თეთრი ბუმბული აქვს. ლამაზი თავი მოკლე და მობრტყელო ნისკარტით, მსხვილი თვალები და ტანის შესაფერი კისერი ძლიერ ამშვენებენ უიმისოდაც ლამაზ შურთხსა. კაკანი იცის მაღალი ხმით და ამისათვის სვანები ამბობენ—შურთხი კი არ კაკანებს (კარკაცე), არამედ სჭექსო (აჭქუნე). ერთნაირად მისი ხმა სტვენასა ჰგავს. ფრინავს ჩქარა, თითქო ფრთებშეუკუმშავადაო, და დიდ მანძილზე. ისე ჩქარა გარბის (ლიგორე), რომ გაჭენებული ცხენიც ვერ დაეწევა. ბუდეს იკეთებს კლდეებში და იმგვარად, როგორც სხვა ფრინველები. ათ კვერცხზე მეტი შურთხის ბუდეში არავის უნახავს. კვერცხი ჭორფლიანი, ფოლაჯიანია. ვერ მითხრეს, რამდენ ხანს უნდება ბარტყების გამოჩეკას და აგრედვე ვერც ის გავიგე, ეხმარება თუ არა მამალი დედალს ბუდობის დროს; ეს-კი იციან მონადირეებმა, რომ ბარტყებს მამალიც უზიდავს საჭმელსა. შურთხის ხორცი სხვა ფრინველების ხორცთან შედარებით მოთეთრო და გემრიელია. შურთხი სჭამს ბალახს, წვრილ კენჭებს და სილას, ქვიშას. ქვიშა და კენჭები ჩემის თვალით მინახავს მოკლული შურთხის კუჭში, შურთხი ღონიერია; ორი ცოცხალი შურთხის დაკავება ერთად კაცს უძნელდება. შურთხმა კბენა არ იცის. ზამთარს კლდეებში ატარებს და, როგორც ზემოდა ვსთქვით, ჯიხვის განავალით ირჩენს თავსა. ზოგნი ამბობენ, შურთხს დათვსავით სძინავს მთელი ზამთარიო (ლაჯუჰს არი), მაგრამ ეს—ცხადია—ტყუილი უნდა იყოს. ფრანგებს, რომელთაც ყველაფერში შნო და გემო აქვსთ—ეტყობათ, ძლიერ მოსწონთ ეს ფრინველი. ამ ორი წლის წინად ერთ ტფილისის რუსულ გაზეთში ვიღაცა სწერდა, რომ პარიჟში ერთი საზოგადოება ორი ათას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანკს იძლეოდა დედალ-მამალ შურთხშიო. შეიძლება მოვესწროთ იმ დროს, როდესაც მოშინაურებული შურთხი ისევე დადიოდეს ჩვენ კარ-მიდამოზე, როგორც ქათმები. აქ დავუმატებთ, რომ სვანეთში გაზაფხულზე შურთხს მახით იჭერენ, მომეტებულად ბარტყებს. ცოცხალი შურთხი და მისი ბარტყები რამდენიმე დღე ჰყოლიათ სახლში, მაგრამ არაფერს სჭამენ და იხოცებიან.

თავისუფალი სვანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

ქართლს რომ შუაზე ჩაუდის,
მდინარე არის ცნობილი;
ორი ანბანი თავიდან
შარადის ძმაა ძმობილი.

რა სახლს არ ხურავს,—არ ვარგა,
შიგ კაცს არ ედგომილება,
წვიმა და თოვლი ყოველი
მას თავზე დაედინება.

პირველი ასო არ გვინდა,
სხვა შარადისთვის გვჭირია;
გამოვა იმის სახელი,
ვინც რომ გვძულს ვითა ჭირია.

ძილი სიცოცხლე არ არის

მოწაფე დათიკო, რომელიც ადრე ამდგარა, ბაღში დასეირნობს და გაკვეთილებს იმეორებს. ახლა რვა საათია. მისი ამხანაგი ვანო კი ახლა ადგა. დათიკო და ის წვებიან ერთ დროს, მაგრამ დათიკო სამი საათით ადრე დგება ვანოზე. მართალი ნათქვამია: „ძილი სიცოცხლე არ არისო; ძილი სიკვდილის მზგავსიაო“. ყოველ დღე ვანო ცხოვრობს სამი საათით ნაკლებ დათიკოზე. წლის ბოლოს ის იცხოვრებს 1095 საათით ანუ 54 დღით ნაკლებ. ათი წლის განმავლობაში ის 540 დღით, ანუ ერთი წლით და 85 დღით

ნაკლებს იცხოვრებს. ორივემ რომ 60 წელიწადი იცოცხლოს ვანო იცოცხლებს დათიკოზე შვიდი წლით და ერთ-ერთ ... ოვით ნაკლებს. აი, რა შედეგი აქვს სიზარმაცეს.

თბილისი

რებუსი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)

ანბანის პირველი ასო	ადე წაიკითხე უკულმა.	კავ-ში-რი.	10,	ჰო—მისი წინააღმდეგი		ქალის სახელი.	ასე წაიკითხეთ უკულმა.				

მე-5 №-ში მოთავსებულ შარადებისა და რებუსის ახსნა.

1. ადამიანი, 2. ქრონიკონი, 3. მილიონი, 4. სამშობლოს გამოეთხოვა მგოსანი ევდოშვილი.

რედაქტ. ნინო ნაკაშიძე. გამომც. ფ. პ. ი. თუმანიშვილი.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოვდის თვეში ორჯელ

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6** მან. ნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში** ტ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **ტ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**